

მ ჯ შ ე მ ს ი

ო ჟ ი ც ი ა ლ უ რ ი ზ ა ნ ე ო ჟ ი ლ ე ბ ა .

უმაღლესი ბრძანება.

უწმ. სინოდის კანცელარიის მმართველას თანაშემწე კეკელიძის დანიშნულ იქმნა უწმ. სინოდის კანცელარიის მმართველად.

უწმიდესი სინოდის განკარგულება.

იმის იმპერატორების უადგიულებლობის ბრძანებისაგან, უწმ. უმართებულებას სინოდის მოსმინა: ბ. სინოდის ობერ-პროკურორის, ამა 4 ივნისის მე-297 №-ის, წინადადება, რომელიც იგი უწმ. სინოდს, ჯერ კიდევ განკარგულებათა მოსახდენად, უცხადებს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა, ჩემს. ბ. სინოდის ობერ-პროკურორის, უჭვეშევრდომილის მოხსენებისამებრ, კეთილ იტყობს უმადლებად დამტკიცება, წარსულის მასის 28-სა დღეს, უწმ. სინოდის ამა წლის 3 მარტის—11 :ზრდის დადგენილების იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა განაწილდეს სამოსწავლო სახდამზრდელი თანამდებობანი სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში. სასკედეობრ, რომ შეტყობილ იქმნას რედაქცია უწმ. სინოდის ამ დადგენილებაში მოხსენებულ სასულიერო-სამოსწავლო წესდებათა §5-სა ამ სახით: სას. სემინარ. წესდების მე-40 §-ი. «ინსპექტორთა თანაშემწენი თანამდებობაზედ მთელის სამოსწავლო წლის განმავლობაში გამწესებულ უნდა იქმნენ, უწ. სინოდის ობერ-პროკურორის მიერ, უწ. სინოდის დაარსებულ სამოსწავლო კომიტეტის მოხსენებისამებრ; ამასში ის პირნი, რომელთაც სამღვდლო ხარისხი აქვთ, გამწესებულ, ერთის სასულიერო-სამოსწავლო სასწავლებლიდან მეორეში გადაყვანილ და სამსახურიდან დათხოვნილ უწ. სინოდის მიერ უნდა იქმნენ». § 56. «სემინარიის მასწავლებლები თანამდებობაზედ მთელის სამოსწავლო წლის განმავლობაში გამწესებულ უნდა იქმნენ უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის მიერ, სამოსწავლო კომიტეტის მოხსენებისამებრ; ამასში ის პირნი, რომ-

მელთაც სამღვდლო ხარისხი აქვთ, გამწესებულ, ერთის სასულიერო-სამოსწავლო სასწავლებლიდან მეორეში გადაყვანილ და სამსახურიდან დათხოვნილ უწ. სინოდის მიერ უნდა იქმნენ». სას. სასწ. წესდების § 61. «სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებლები (1 კლასის რუსულის ენის მასწავლებელს გარდა) თანამდებობაზედ მთელის სამოსწავლო წლის განმავლობაში გამწესებულ უნდა იქმნენ უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის მიერ, სამოსწავლო კომიტეტის მოხსენებისამებრ; ამასში ის პირნი, რომელთაც სამღვდლო ხარისხი აქვთ, გამწესებულ, ერთის სასწავლებლიდან მეორეში გადაყვანილ და სამსახურიდან დათხოვნილ უწ. სინოდის მიერ უნდა იქმნენ». ამოწერილობა: უწ. სინოდის, ამა წლის 3 მარტის—11 :ზრდის მე-590 №-ის, განკარგულებით სხვათა შორის დადგენილია: აქ განმარტებული უმადლებად ნების დათვრისათაგან: 1) სასულიერო სემინარიისა და სასწავლებელთა მმართველობათ ვალად დაედოთ, რომ უწ. სინოდთან დაარსებულ სამოსწავლო კომიტეტს აუწყოთ ხელმე ცნობები იმის შესახებ, თუ სულ რამდენი სათანამდებო ადგილი დატალიერდა მთელის წლის განმავლობაში სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში, იმ ადგილის გარდა, რომლებიც, აწ არსებულ განზრდებულებათა საფუძველთ, სემინარიის სტუდენტებს ეძლევათ; ამა ცნობებთან უნდა აღნიშნონ დრო მასწავლებელთა გასვლისა ანუ სიკვდილისა. საგანი, რომელსაც ისინი ასწავლიდნენ, და თვით კლასებიც, რომლებშიც ეს საგანი ისწავლება; სემინარიისა, რომლებშიც აწ მოქმედის შტატით დაწესებულა ინსპექტორებისათვის ორა და მეტიც თანაშემწე, ინსპექტორის თანაშემწეთა ადგილის დაცლის შესახებ მოხსენებაში, უწ. სინოდის 1886 წ. 20 მარტის—26 ივნისის დადგენილების თანახმად, ისიც უნდა იყოს ნაჩვენები, მოსახერხებლად მიანიათ, განსაკუთრებულ გარემოებათა გამო (მაგალ., სემინარიისაში სადგომთა ნაკლებულობის მიზეზით), რომ ინსპექტორის თანაშემწეს მოკვლეობის აღსრულება სემინარიის რომელსამე მასწავლებელთაგანს მიანდონ, თუ ამ ადგილზედ ცალკე პირი უნდა დანიშ-

ნოს; 2) მიეწეროს აკადემიების საბჭოებს, რომ 15 ივლისზედ ან უგვიანეს წარმადგინონ უწ. სინოდში ცნობები იმ სწავლა-დამთავრებულთა მოწაფეთა შესახებ, რომელთაც სამღვდელთა ხარისხი აქვთ, ხოლო სამოსწავლო კომიტეტში აუწიონ ხელმე ნუსხა ეგელა სხვა მოწაფეთა, როგორც სასულიერო ხარჯით აღზრდილთა, აგრეთვე თავისის ხარჯით ნასწავლთა, რომელნიც გამოატარებენ სურვილს სასულიერო-სამოსწავლო უწყებაში სამსახურისას, ხოლო რასაკე შემთხვევაში აღნიშნულნი უნდა იყოს: ა) ადგილი ამ მოწაფეთა შთამომავლობისა; ბ) ნიშნები მათის წარმატებით სწავლისა და უფლებებისა, და გ) ცნობები, რომელთა წარმადგენან საჭიროდ ცნობილია უწ. სინოდის 1884 წლის 25—27 აპრილისა და 1888 წ. 27 იანვრის—17 თებერვლის დადგენილებათა მიერ იმის შესახებ, რომელი მათგანი სემინარიებისა და სასწავლებლების რომელს სამსწავლებლო კათედრისა ანუ თანამდებობაზედ ანის მიხედული უფრო გამოსადგენიკიერად, ხოლო იმათ შესახებ-კი, რომელთაც სრული ნიშანი ანა აქვს დასრული უფლებებისა, ცნობები, ინსპექტორთა აღნიშვნის საფუძველით შემდგომი, მათ მიერ აკადემიაში უფლების წრეს ჩადენილ საქმიანთა აუგარჯიანობისა; ამასთან წარდგენისამებრ ამა ცნობებისა უწ. სინოდისა და სამოსწავლო კომიტეტში, ეგელა მოწაფენი სასულიერო ხარჯით აღზრდილნი და აგრეთვე ის თავის ხარჯით ნასწავლნი, რომელნიც, აკადემიის სწავლის დამთავრების შემდეგ, განატარებენ სურვილს სასულიერო-სამოსწავლო უწყებაში სამსახურისას, უნდა წარუზავნილ იქმნენ თავ-თავისს ებრაელებში, გუთვნილებებისამებრ, და მიერეთ გზის ბილეთები. ხოლო სასულიერო ხარჯით აღზრდილთ კი გზის ფულიც, და ამ მოწაფეთა მოწმობანიც ჯერჯერანს სასულიერო გონისიტორიებში უნდა გაიგზავნოს, და 3) სინოდის 1886—87 წლების 25 ნოემბრის—7 იანვრის დადგენილებათა შესტყველად, ნება მიეცეს საეპარქიო უფლებად უსამღვდელთაგანობათ, რომ ეს აკადემიის მოწაფენი, თუ ვინცდაც მათ სთხოვეს, დანიშნონ ხელმე თავისის მიხედულებისამებრ ადგილებზედ საეპარქიო უწყებაში და ცნობა უფლების დანიშვნის შესახებ დაუყოვნებლივ აუწიონ ბ-ის სინოდის ობერ-პროკურორს. პირობანი: აქა განმარტებული უმაღლესი ნებართვა და ამოწერილობა დაიბეჭდოს ყურწნაღს «საეკლესიო უწყებანიში» სასულიერო უწყების მიერ მათდა დახმავადებულ მოწაფეკ გახეკეულებათა მოსახდენად და აღსასრულად.

უწ. სინოდთან დაარსებულ სამოსწავლო საბჭოსათვის:

უწ. სინოდთან დაარსებულ სამოსწავლო საბჭომ 1893 წლის 2 იანვრის მე-147 №-ის ყურწნაღით დაადგინა: უწ. სინოდთან დაარსებულ სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარეს თანაშემწედ მეოფი, ტ. ს. კლადიშვილი კარლესის ძე საბლეკი, დაუდგინა გუბერნიისა და დიდად ნაყოფიერ შვიდ წლოვან ჯაწლისათვის კვლავ აღდგენილ საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლთა სასარგებლოდ, დაჯილდოებულ იქმნას წიგნით „დაბადება“-თი, რომელიც უწ. სინოდისაგან ეძლევათ ხელმეჯილდოდ, იმისდა სამაგიეროდ, რომ იგი გულისათვის სიუყარულით ეკიდება საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელს და გუბერნიისაგან უზრუნველ ერის განათლებისათვის მართლ-მადიდებელ ეკლესიის აზრისამებრ.

მთავრობის განცხადებულებანი და განკარგულებანი.

იმის შესახებ, რომ განმრავლდეს იმ კომიტეტის უწყების საგნები, რომელიც განიხილავს უმაღლესი ჯილდოზედ წარდგენილებათა.

მისის იმპერატორების უდიდებულესობის საკუთარ განცხადების მიმართველმა ანობა იუსტიციის მინისტრს, რომ ხელმეოფე იმპერატორმა, ამა 1892 წ. 5 მარტს, კეთილ იხება და უმაღლესად უბრძანა: იმ წარდგენილებათა გარდა, რომელიც აღნიშნულია 1892 წელს 27 თებერვალს უმაღლესობის სენატის მიმართ ბოძებულ უმაღლესს ბრძანების მე-50 პუნქტში, „უმაღლესს ჯილდოზედ წარდგენილებათა განმხილველს კომიტეტში“ აგრეთვე შეტანილ უნდა იქმნას საქმენი: 1) იმის შესახებ, რომ სასულიერო სამსახურის უფლებანი მიენიჭოთ ამ შირთ, რომელნიც ამ უფლებით ანა სარგებლობენ, 2) სასულიერო და საზოგადო დაწესებულებებში კერძო მუშაობათა დროს ასეთ სამსახურად ჩარიცხვის გამო, 3) იმის შესახებ, რომ ჯილდოს და სხვა სამსახურის უზარატესობის ბოძების დაბრკოლებად არ წიათავლას ის გარემოება, სამართალში მიერეთლი უფლებით, 4) შირად და შთამომავლობით საზოგადო მოქალაქეობის ბოძებისა, 5) ფულად დაჯილდოებისა და 6) საზოგადო კაბით (КАФТАНЪ) დაჯილდოების შესახებ. (სასულიერო მოამბე).

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსიან კეთილმან სული თვის დაქსდვის ცხოვრათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იუოს სიხარულ, ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 13—14

1883-1892

1—30 ივლისს.

გ ა ზ ე თ ი ს თ ა ს ი :

«მწყემსი» 12 თოვით 5 მან.	«მწყემსი» რუსული გამოცემით 12 თოვით 6 მან.
6 — 8 —	6 — 4 —

თულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:
Въ Каврилы, въ редакцію „Мукემси“ и „Пастыр“.

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავთ გამოგზავნილნი გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.


სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

სასულიერო სასწავლებლების სამმართველოების საუწყადადგომად.

წინეთ, როცა ერთი სასულიერო ოფიციალური და არც კერძო გამოცემა არ არსებობდა, სასულიერო სასწავლებლების სამმართველონი წერილობით აცნობებდნენ სამღვდლოებსა და საზოგადოებას საჭირო ცნობებს და თავიანთ განკარგულებათა. რასაკვირველია, საძნელო იყო ამ გზით საჭირო ცნობათა

შეტყობინება სამღვდლოებისათვის, მაგრამ მაშინ მგტი ღონე არ იყო და არც ხარჯს ზოგაედენ ვადამწერთათვის. ბოლოს, როცა სასულიერო სასწავლებლების წესდება გამოაცა, საჭიროდ დაინახა უმაღლესმა მთავრობამ, რომ სასწავლებლების გამგეთ სამღვდლოებისათვის მიეცათ დაწერილებითი ანგარიშები მათდამი რწმუნებული სასწავლებლების ხარჯის შესახებ. აი რას ამბობს ამისთანა ანგარიშებზე უმაღლესად დამტკიცებული წესდებულება სასულიერო სასწავლებლებისა: „სასწავლებლის“ სამმართვე-



ლოისაგან შედგენილი ანგარიში უთუოდ უნდა დაიბეჭდოს ეპარქიალურ გამოცემაში და თუ ამისთანა გამოცემა არ არსებობს, მაშინ ცალკე წიგნაკად უნდა დაიბეჭდოს იგი და დაურიგდეს სამღვდლოებს». სამწუხაროდ, წესდების ასეთი მოთხოვნა არ აუსრულებია, რიგისა მებრ, საექსარხოზოს არც ერთ სასწავლებლის სამმართველოს. ერის კაცების შეიღებისგან სასწავლოდ შემოსული ფულების მასწავლებელთა შორის საჩუქრად განაწილება კი ყოველთვის ბეჯითად და მუყაითად სრულდება ხოლმე. მაგრამ ეს სულ სხვა კითხვაა და ჩვენ სრულებით სახეში არა გვაქვს ამის შესახებ წერა გავმართოთ მკითხველებთან.

1883 წლამდე ჩვენში არ არსებობდა არც ერთი სასულიერო გამოცემა, რომელშიაც შესაძლებელი ყოფილიყო სასულიერო სასწავლებლების ანგარიშების დაბეჭდვა. ხსენებულ წლიდან ჩვენ დაეარსეთ ჩვენი გამოცემა და, სხვათა შორის, გამოვაცხადეთ ზემოდ აღნიშნული ანგარიშების ბეჭდვის სურვილი. თელავის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდლოებამ ორ გზის დაადგინა თავის კრებებზედ, რომ მათი სასწავლებლის ანგარიში დაბეჭდილიყო ჩვენს გამოცემაში; მაგრამ ამ სასწავლებლის ზედამხედველებმა არ ინებეს სამღვდლოების კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ერთმა სასწავლებლის სამმართველომ, მართალია, გამოგვიგზავნა ანგარიში დასაბეჭდად, მაგრამ ეს ანგარიში სრულებით საინტერესო არ იყო სამღვდლოებისათვის. 1891 წლიდან საჭიროდ დაინახეს სასულიერო ოფიციალური გამოცემის დაარსება ჩვენში. ამ გამოცემის გამოწერა ვალდებულებად დაუდგინეს ყველა ეკკლესიებს. ამას წინეთ სინოდალნი კანტორამ უქაზებით გამოუცხადა ბლაღოჩინებს, რომ იგინი დაიშტრაფებიან ფულით, თუ ყველა ეკკლესიებისათვის არ იქმნა გამოწერილი ეს გამოცემა. სინოდისაგან კი ამ გაზეთის დაარსების ნება-ართვა იმ პირობით იყო გამოთხოვნილი, რომ ღარიბ ეკკლესიებს ეს ჟურნალი გავგზავნებათ მუქთად, ხოლო შემღებულებს ფულითო. მეტი ღონე არ იყო, სადაც კი მოიპოვებოდა ორიოდ გროში ეკკლესიებში, ბლაღოჩინებმა გაგზავნეს ხსენებული გამოცემის რედაქციაში და გამოიწერეს ჟურნალი. წარსულს წელში ხსენებული ჟურნალის რედაქციას 6000 მანეთზედ მეტი ფული შეუვიდა, როგორც ეს თვითონ ამ ჟურნალის განცხადებისაგან ჩანდა. თუ

მივიღებთ სახეში მთელი წლას განმავლობაში ამ ჟურნალში დაბეჭდილ სტატებს, რომელნიც უმეტესად გადმობეჭდილი არიან სხვა გაზეთებადგან და მზა სიტყვებს და მოძღვრებათა, მაშინ ამ ჟურნალს უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებთან შედარებით უფრო მომეტებული შემოსავლი ჰქონებია და დღესაც აქვს. თუ ჩვენი ღარიბი ეკკლესიები ამოდენა ფულს იხდიან ამ გამოცემისათვის, რომელშიაც ქართულად მარტო ოთხიოდე გვერდი იბეჭდება და ისიც ოფიციალურ განყოფილებაში, რა უშლის ჩვენი სასულიერო სასწავლებლების ყველა სამმართველოებს, რომ მათდამი რწმუნებული სასწავლებლების ანგარიშები და ამ სასწავლებლებში მოსწავლეთა შესახებ ყოველივე ცნობა და განკარგულება ამ გამოცემაში გამოაცხადონ? რაღა საჭიროა სასწავლებლების სამმართველოებში გადამწერთა რიკების მომატება და მომეტებული ჯამაგირების დანიშნა, როდესაც ეკკლესიებია ამოდენა ფულს იხდიან ამ გამოცემათათვის? ერთი მეტად უაჯაბა და უსამართლოება ხდება, რომელსაც ყველამ უსრულდება უნდა მიაქცაოს. როდესაც რომელიმე ეპარქიაში ოფიციალურ გამოცემას დაარსებენ, მაშინ ეპარქიალურ კანცელარიების და სასულიერო სასწავლებლების სამმართველოების შესანახავი ხარჯი ერთი ორად მკარდება, რადგან ყოველგვარი ოფიციალური მიწერ-მოწერა ეპარქიის მთავრობასა და ბლაღოჩინებს შორის ამ გამოცემაში იბეჭდებიან სამღვდლოების საცნობლოდ და სახელმძღვანელოდ. ჩვენში კი წინააღმდეგ მოკლენას ეჭვადეთ. ყოველგვარი განკარგულება სამღვდლო და საეკკლესიო მოსამსახურეთა განწესების შეახებ კანცელარიებიდანაც ეგზავნებთ ბლაღოჩინებს და ოფიციალურ გამოცემებშიაც იბეჭდებიან. ამ სახით ორგვარი ხარჯი მიდის ერთსა და იმავე საქმეზე. რადგან ყოველი ეკკლესია ვალდებულია გამოიწეროს სასულიერო ოფიციალური გამოცემა, რაღა საჭიროა კერძო მიწერილობანი ბლაღოჩინებისადმი?

მაგრამ არიან ზოგიერთები, რომელნიც სრულებით არ სარგებლობენ ამ ოფიციალური გამოცემით. ამ შემთხვევაში საყურადღებოა ზოგიერთი ზედამხედველების საქციელი. ეს ზედამხედველები ხშირად სწერენ ბლაღოჩინებს, რომ მათ გამოუცხადონ საზოგადოებას და მოწაფეთა დედამამს სასწავლებლის ზოგიერთი სავალდებულო განკარგულებანი. მაგრამ ამავე დროს თავიანთ მოწერილობაში სრულებით არ

ასახელებენ მოწაფეთა მშობლებს სახელს და გვარს და არც მათ საცხარებელ ადგილს. როგორ და ეს გამოუცხადოს ბლოაჩინმა ამ ზედამხედველების მიწერილობანი? რადგან ასე გაუგებლად არიან შედგენილნი ეს მიწერილობანი, ამიტომაც ივინი უყურადღებოდ რჩებიან და მათი გადამწერლები კი ჯამაგირებს იღებენ. რა უშლის ამ ზედამხედველებს, რომ მათ ყოველივე თავის განკარგულებანი, ჯეროვანად შედგენილნი, ოფიციალურ ქურნალში გაგზავნონ და მოითხოვონ, რომ რედაქციამ ესეები დაბეჭდოს? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რედაქციები დიდის სიამაფებით მიიღებენ ამ ცნობებს დასაბეჭდად.

აქვე არ შეგვიძლია, არ შევნიშნათ ისიც, რომ არც ერთი სასულიერო სასწავლებლის სამმართველო არ იძლევა რიგიანს ანგარიშს. ამ ანგარიშებიდან ვერ შეიტყობთ, თუ როგორ მიდიოდა სასწავლებელში სწავლის საქმე, რა უწყობდა ხელს სწავლის საქმეს, ან რა აბრკოლებდა მას და რა ზომები იქმნა ნახშირი დაბრკოლებათა მოსასპობლად? საზოგადოდ აცხადებენ, თუ რამდენი მოწაფე იქმნა გადაყვანილი შემდეგ კლასებში, რამდენი დარჩა ისევე იმავე კლასებში და რამდენი იქმნა დათხოვილი სასწავლებლოდამ, მაგრამ ამავე დროს არაფერს ამბობენ, თუ რა ღონე იხმარეს გამორიცხული მოწაფეების გასასწორებლად. ამბობენ, რომ სამღვდლოებებს უფლება აქვს ანგარიში მოითხოვოს მართო მისგან სასწავლებლის შესანახავად შემოტანილი ფულისაო და არა ანგარიში შავირდებოს სწავლა-ზნეობაზეო. ჩვენის აზრით, ესეთი პასუხი ძლიერ შემცდარია. მოსწავლის მამისათვის ყველაზე უფრო საინტერესო არის შეიტყოს თავის შვილის სწავლა და ზნეობა და არა ის, თუ რამდენი ფუთა კარტაფილი და ლობიო იყიდეს მისგან შეტანილი ფულით.

იმედია, რომ ამ შესამჩნევ ნაკლს ყურადღებას მიექცევენ, ვისაც რიგია და სამღვდლოებას მისცევენ დაწვრილებით ანგარიშებს მათგან სისწოლის ოფლით შენახულ სასწავლებლების და მათში მოსწავლე მათი შვილების სწავლა-ზნეობას შესახებ. ჩვენი აზრით, ძლიერ საინტერესო იქმნება ჩვენი სამღვდლოები სათვის შეიტყოს აზრი პედაგოგიურ რჩევებისაც, რომელ კრებებზედაც ბევრი რამ საყურადღებო ძიება-რება წარმოითქმის ხალხე მოწაფეების შესახებ. კარგი ხანია ყველა დარწმუნდა, რომ სასწავლებლის საქმის ფართლად წარმოება და საიდუმლოდ ზომების მიღება საქმის წინ წაწევისათვის არასოდეს არ ყოფილა სასარგებლო და არც დღეს იქნება. ყოველივე სიტყვა, ყოველივე ზრმა, საქციელი და მოქმედება უნდა სრულდებოდეს ცხადად და ამკარად ყველასათვის და მხოლოდ მაშინ უნდა მოგვლოდეთ ჩვენი მოქმედების სასურველ ნაყოფს.

დკკ. დ. ლამინაძე.

ამოს კომენტსი და მისი პედაგოგიური მოღვაწეობა.

(პედაგოგიის ისტორიიდან).

მეთექვსმეტე საუკუნეში სირქარით იწყო გაგრცოლება ლიუტერის სწავლამ, რომელიც უარჰყოფდა რომის ეკკლესიის სწავლა-მოდლებას და ამ ეკკლესიის პაპის უფლებას. ამავე საუკუნეში დასავლეთს ევროპაში დაარსდა, ესრედ წოდებული «იესოს საზოგადოება», რომლას წევრებს დაერქვათ იესუიტები. ამ საზოგადოების მიზანი იყო ლიუტერის სწავლის გაგრცოლებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ამ მიზნის მისაღწევად იესუიტებმა დაარსეს მრავალი სკოლები და ახალთაობის სწავლა-განათლების საქმე ხელში ჩაიგდეს. იესუიტურს სკოლებში სწავლება სწარმოებდა მხოლოდ ლათინურს ენაზედ; სასტიკად აღკრძალული ჰქონდათ მოწაფეებს კლასში და ქუჩაზედ დედა-ენაზედ ლაპარაკი... შავირდებს ავარჯიშებდნენ ლოცვების და სასულიერო შინაარსის წიგნებას კითხვაში. იესუიტები სცდილობდნენ მოეწყვიტათ მოწაფე სამშობლო ნიადავიდან და გაეხადათ იგი ერთგულ ყურმოჭრილ ძედ რომის ეკკლესიისა. მაგრამ სარწმუნოებრივს აღზრდას იესუიტურს სკოლებში ჰქონდა მხოლოდ გარეგანი ხასიათი და ჰკლავდა მოსწავლის გულში ცოცხალს ძალას სარწმუნოებისას და სიყვარულისას. იესუიტები სცდილობდნენ განეითარებიათ მოსწავლეების გულში იწრო თავ-მოყვარეობა, რომლის «ანი» და «ჰაგ»-ა თავყანისცემა პირადი ინტერესებისა. თვითოეული მოწაფე თვლიდა თავის ამხანაჟს მეტოქედ, მტრად და სცდილობდა იმაზედ ამაღლებულიყო უფროსის თვალში. ამ მიზნის მისაღწევად შავირდი არ ერიდებოდა არავითარს საშუალებას; ბეზღობდა, ჯამუშობდა უმთავრეს საშუალებად ითვლებოდა ამ მიზნის მისაღწევად. წეს-წყობილება იესუიტური სკოლებისა ბავშვის ნორის ბუნებაში ჰბადაედა უზნეობას, აღუბჭირებდა სიწმინდეს მისის ბუნებისას, ამუნჯებდა წმ. იდეალებს და ამ ბუნებას უკეშირებდა დედა-მიწას, ქენა ვნებებს და საზოგადოდ ყოველივე მას, რაც კი წარმოშობს საერთო შორისო სიძულიოს და მუშტკრივობას.

შესანიშნავმა ინგლისელმა ფილოსოფოსმა ბეკონ ვერულამელმა (დაიბადა 1561 წ.) თვისი ჰენოლსურის ჰუუს ჩაგონებით შეარყია ბორკილები და მათეულეები იეზუიტურის სწოლასტიურის სისტემისა, რომელიც იქმნა მის მიერ ცნობილი კაცის ბუნების დამამახინჯებელს სისტემად. ბეკონის მეცნიერების მიზანი იყო ზე-აღედგინა სწოლასტიურის ცალიერსიტყვაობით და იწრო-სწავლულობით დაჩაგრული ძლიერება კაცის ბუნებისა და მთელის კაცობრიობისა. ბეკონმა შესძინა მეცნიერებას ესრედ წოდებული ინტელექტიური მეთოდი, რომელიც დაკვირვების და გამოცდილების შემწეობით კაცის გონებას ამდიდრებს ნამდვილი ჭეშმარიტის ცოდნითა. ცალიერი ფრაზების შესწავლა—ამბობს ბეკონი—ჩვენ ცოდნას არ შეგვძენს. მხოლოდ ბუნებას, ამ მდიდარს წყაროს ცოდნისას, შეუძლია გვიჩვენოს შეცდომანი და ცოდნითაც გავგამდიდროს. მხოლოდ შესწავლა ბუნებისა, ნივთიერისა თუ სულიერისა, კაცს მისცემს შეძლებას დაიმორჩილოს ბუნება და გახდეს ნამდვილ მის ბატონად. ბეკონის სწავლა-მოდერება დაედო საფუძვლად ყოველს დაგს მეცნიერებისას და სხვათა შორის პედაგოგიასაც, ანუ ბავშვთა აღზრდის შესახებ მეცნიერებას. ბეკონი გახდა მამად რეალურის ანუ ბუნების კანონებთან თანახმა პედაგოგიისა. მისი სწავლა-მოდერების ზედ-გაგეღნის ქვეშე აღიზარდა შესანიშნავი პედაგოგი ამოს კომენსკი, რომელმაც ცხოვრებაში გაატარა, გაახორციელა მალალი აზრები სწავლის შესახებ, რომელნიც ბეკონმა უმოდერა კაცობრიობას.

ამოს კომენსკი, ტომით ჩეხი, დაიბადა 16 მარტს (28 მარტს) 1592 წელსა, სამასი წლის წინად, მორავიაში. იმას მალე დაეხრცა მშობლები, რომელნიც ეკუთვნოდნენ «მორაველი ძმების» საზოგადოებას. მორაველი ძმები მიაგაედნენ მოტიქულთა დროის ქრისტიანეთა; იმათ ჰქონდათ საზოგადო აღგილ-მამული, თანხა და სკდილობდნენ გაეხორციელებითა ცხოვრებაში ქრისტეს მალალი მცნება ძმობისა და ერთობისა. მორაველ ძმებს სძულდათ ომი და იყენენ მკადაგებელნი საერთა-შორისო მშვიდობიანობისა. ამოსი, შობილი და აღზრდილი ასეთს საზოგადოებაში, თვით ბავშვობითვე განიმსჭვალა ამ ძმობის სწავლა-მოდერებითა. ცნობის მოყვარე 16 წლისა ამოსი, შევიდა ერთს იეზუიტურს სკოლაში, სადაც მან შეისწავლა ლათინური ენა. აქ იმისმა ნორჩმა ბუნებამ

ცხადალ შეიგნო უვარგისობა იეზუიტური აღზრდის სისტემისა. აი რას ამბობს ამოსი ამ სკოლაში გატარებული დროის შესახებ: „დაკარგული დროის მოგონება გამოიწვევს ჩემში გულითადს ოხვრასა, მგერის თვალეზედ ცრემლსა, გულში მიძლიერებს სევდასა, ჰოი, ნეტავი შემეძლოს კელავ დავიბრუნო დაკარგული წლები! მაგრამ ეს ხატერა ფუჭია და ამო. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა მოზარდს თაობას მიესცეთ კეთილი რჩევა, ვუჩვენოთ მას შეცდომანი ჩვენის მასწავლებლებისა და ამით მიესცეთ მას შეძლება თავიდან აიშორონ ეს შეცდომანი!“ რადგან თვით ამოს კომენსკიმ გამოცადა ყოველივე სიძნელე და სიღუბჭირე იეზუიტურის სწავლა-აღზრდისა, ამიტომ მან განიძრახა თავისი სიცოცხლე შეეწირა ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმის ჭეშმარიტს გზავედ დაყენებისთვის. ამოსი სწავლის დასამთავრებლად წავიდა გერმანიაში და ჰოლლანდიაში; აქ მან შეითვისა ბეკონის სწავლა-მოდერება, და სამშობლოში დაბრუნდა 1614 წელსა. 1616 წელს ამოსი ეკურთხა მღვდლად ფულენკის ქალაქში. და დაიწყო აღზრდა ბავშვებისა თანახმად ახალის მის მიერ დახატულის პედაგოგიურის სისტემისა. ის აღგენდა ახალს სახელმძღვანელოებს და სხვა-და-სხვა საკითხავე წიგნებს. ძნელს და სამწუხარო დროს შეხვდა ცხოვრების ასპარეზავედ მოღვაწეობა ამოს კომენსკის. ეს იყო დრო, როდესაც პრუსიის ხელმწიფე ფერდინანდი, ერთგული ძე რომის ეკკლესიისა, სდენიდა ყველას, ვინც კი ამ ეკკლესიის წინააღმდეგი იყო ჩეხიაში გარდა «მორაველი ძმებისა» სცხოვრობდნენ ლიუტერის სარწმუნოების აღმსარებელნი. ცეცხლი დენისა დაატყდა თავეზედ ჩეხიასაც. 1627 წელს გამოიკა ბრძანება, რომლის ძალითაც ყველა არა კათოლიკე ჩეხი სამშობლოდგან უნდა გადასახლებულიყო უცხოეთში. ამავე დროს ამოსს მოუყვდა ცოლი და ორი შვილი. 30,000 მორაველი ძმები ჩეხიიდგან პოლონეთს გაემგზავრენ, მათ რიცხვში იყო ამოსიც. «დმერთო დიდებულო! დაიფარე დაობლებული ჩემი სამშობლო!“ სთქვა ამოსმა ცრემლის ღვრით, როცა თავის სამშობლოს გაშორდა. ის დაესახლა პოლონეთის ქალაქს ლისსაში; აქ ის სკოლის უფროსად დანიშნეს. შემდეგში ხელდასხმულ იქმნა მორაველი ძმების ეპისკოპოსად. ლისსაში მან დაწერა შესანიშნავი თხზულება: «ღია ბჭენი ენებისა», რომელშიაც ნაჩვენებია ახალი გზა ენების შესასწავლად. ეს თხზულება 16

ენაზედ გადათარგმნეს, აქვე მან დაწერა თავისი „დიდი დიდაქტიკა“, რომელშიაც არის გამოხატული ზოგადი პედაგოგიური კანონები, დამყარებულნი ფილოსოფიურს საფუძველზედ. ამოსი შრომობდა სკოლის საქმის გასაუმჯობესებლად შვეიცარიაში, ინგლისში, შვეიცარიაში და პოლონეთში. 1648 წლის შემდეგ, როდესაც შეიკრა ვესტალის ზავი ლიუტერის სწავლის აღმსარებელთ და კათოლიკეთა შორის, ამოს კომენსკი მიიწვიეს ვენგრიაში, სადაც მან დაწერა თავის თხზულება: «სურათებიანი ქვეყანა», რომელშიაც გაატარა თავისი აზრი შესახებ თვალსაჩინო სწავლებისა. 1671 წ. 15 ნოემბერს ამოსი ამსტერდამში მიიცივალა. ამოსმა თავის ცხოვრების უმთავრესი მიზანი გამოთქვა თავის „აღსარებაში“: „მე ჩემს სიცოცხლეში საუკეთესო სურვილის კაცი ვიყავი. მე ვცდილობდი უმეტესად გამეუმჯობესებია სკოლის საქმე. იმედი მაქვს და მტკიცედაც მრწამს, რომ უფალი არ ჩაატარებს ჩემს შრომას უნაყოფოდ და გადმოუფლენს ჩემს აზრებს ოდესმე განხორციელებას“.

ჩვენ ვეცდებით მოკლედ გავაცნოთ მკითხველებს პედაგოგიური სისტემა ამოს კომენსკისა, რომელსაც ისტორია უწოდებს «კაცობრიობის მეგობარს».

მხოლოდ ცოდნას, რომლის შეძენის ნიჭი ბუნების მიერ აქვს კაცს მოცემული, შეუძლია კაცი ნამდვილს აღამიანად გახადოს—ამბობს კომენსკი—და შეაძლებინოს მას ამითი აღასრულოს თავისი მაღალი მოწოდება. ცოდნას კაცი შეიძენს როგორც სახლში, აგრეთვე სკოლებში. სკოლები—კომენსკის აზრით—უნდა იყვნენ ჰუმანიური სახელოსნოები, რომელთაც ახალთაობის გულში უნდა განავითარონ მაღალი, წმიდა, კეთილშობილური გრძნობები...

მშობლების სახლში ბავშვი უნდა რჩებოდეს დაბადებიდგამ 7 წლამდის. მშობლებმა უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება ბავშვის ფიზიკურს აღზრდას და მის გარეგანი გრძნობების განვითარებას. ბავშვმა მშობლების სახლში უნდა მიიღოს პირველთვის იმ ცოდნათა, რომელთაც ის შემდეგ შეითვისებს სკოლაში.

სახალხო სკოლაში ბავშვი უნდა შედიოდეს 7 წლისა და 12 წლამდის რჩებოდეს. აქ ის სწავლობს წერა-კითხვას, გალობას, საღმრთო სჯულს, შემოკლებულს გეოგრაფიას და ტექნოლოგიას. უმთავრეს საგნად სახალხო სკოლაში უნდა ითვლებო-

დეს დედა-ენა, რომელზედაც უნდა სწარმოებდეს ყველა საგნების სწავლება, უკეთეს გესურს ბავშვები კვლავ სალი და გონება განვითარებული გამოვიდნენ.

სწავლების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს გარეგანს გრძნობებს. საფუძველი სწავლა-ცოდნისა უნდა ჩაიდგას ამ გრძნობების შემწეობით. შაგირდს მაშინ ექნება ნამდვილი ცოდნა ნივთებისა, როდესაც ის თავის საკუთარს დაკვირვებით შეითვისებს ამ ნივთებსა. მოსწავლის სიტყვა უნდა შეიცავდეს მას, რაც იმან საკუთარს დაკვირვებით შეითვისა, რაც მას სულსა და გულში ჩაებეჭდა, როგორც ცოცხალი სახე. ნაცვლად მკედარი წიგნებისა გავშალოთ ბუნების ცოცხალი წიგნი, რომელშიაც თვით ჩვენ წავიკითხავთ გაცილებით იმაზედ უფრო მეტს, რაც ვის რაჲ და რამდენი უთქვამს იმაზედ. ბავშვებს უნდა აუხსნათ, განუშარტოთ საგნების თვისებანი, და მათი მნიშვნელობა. ასეთი განმარტება საგნებისა გახდება დედა-წყაროდ ცოდნის მრავალი ნაკადულებისა. აქამდის სკოლები—ამბობს კომენსკი—არ სცდილობდნენ, რომ ბავშვებისათვის, როგორც ახალ ნერგებისათვის, განვითარებათ თავის ყლორტები საკუთარს ძირიდგან; სკოლები სცდილობდნენ მხოლოდ მათთვის მიეკოწიწებიათ უცხო, დამტყრეული და ხმელი ტოტები, მსგავსნი ფარშევანგის ფრთებისა, რომელიც ვაიკეთა ერთს არაკში გამოხატულმა ყვავმა. აქამომდე ბავშვებს სკოლაში თვით საგნებს კი არ აჩვენებდნენ, არამედ ეუბნებოდნენ მათ, თუ რას ჰეიქრობს სახელდობრ მათს შესახებ მავანი და მავანი სწავლული. მაგრამ ნუ თუ ჩვენი მოწოდება იმაში მდგომარეობს, რომ სხვებს მივდედეთ უკან კულში და თვით კი საკუთარს ნიჭით კი ვერა რა შევიძინოთ. ცისა და დედამიწის განხილვა შეძენს ბავშვებს ჰუმანიტის ცოდნას და არა მხოლოდ მკედარი. აქედგან ცხადად სჩანს, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს თვალსაჩინო სწავლებას (наглядное обучение), რომელიც კომენსკიმ მეცნიერულად დაასაბუთა თავის «orbis pictus»-ში. თვალსაჩინო სწავლება ხდის საგნების ძესწავლას სასიამოვნოდ და აარკვეცებს შაგირდის ყურადღებას.

ილია ფერაქე.

(დასასრული შემდგომში).



წერილი რედაქციისადმი.

მამა რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, დაგვიბეჭდოთ თქვენს პატივცემულს ქურნალს «მწყემსში» ქვემოთ ნათქვამი პასუხად ახალის ამბავისა ხევიდგან, რომელიც მოთავსებულია «ივერიის» მე-მ 4 №-ში.

სადმართო წერილი გვასწავებს: უოკალი სიტყვა უქმი, რამელსა იტყოდენ კანნი, მისტენ სიტყვა მისთვის, მაგრამ ჩვენი თავმომწონე ვაზ. «ივერია» სრულებითაც არ ცდილობს შეიკაოს თავი უქმ ღმრთავალსიტყვაობისაგან. გვგონია, ყველასთვის ცხადია, რომ უბრალოდ მოლაპარაკე ადვილად დაუშვებს მავნე სიტყვებს, შეუსაფერს და წინდაუხედავს გაკიცხვას, წარმოსთქვამს არა მოსაწონს სხვაზედ მსჯელობას, გადაასხვავებებს ღმრთეობა ახსნის სხვის სიტყვა-საქციედს... ეს არაფერი: დაუშვებს ხშირად ტყუილს! სწორედ ასეთი მიმართულება მიიღო გაზეთმა „ივერი“-ამ, რომელიც «გაქდაქცა მამას სიტყვად». დევიზად თავისი მოქმედებისა „ივერიის“ რედაქციის აუღია სამდვდელოების არა შესაფერის ღმრთეობის სიტყვებით გაკიცხვა ღმრთეობა ღმრთეობა კი მოხვდება უკანასკნელთა შესახებ ლაპარაკობს, არ იგნებს და არ გულის-ხმასაჰყოფს პავლე მოციქულის სიტყვებს: ხუტუნის რისი ნაწილის პატივის დიხს იჟნად. თითქმის ეს გაზეთი თავისი დაუშვითებელი და გონებაჭრელი თანამშრომლებით საფუძველშივე უარ-ჰყოფს სამდვდელობასა, ისე სჯის სამდვდელოებაზედ: მდვდელებს სთვლის კაცობრიობისთვის მავნე პირებად, სრულებით უღირს-უსმენლებად, ბოროტის მოხარულებად, გარყვნილებად... ღმრთეობის რიცხვს ნიშნად კეთილ-წესიერებისა, ჰგონია, ვითომ, ამით სამდვდელოების რომელიმე ნაკლულებების გასწორებასა სცდილობს. და ან კი რა გასაკვირვებელია, რომ ამისთანებს და მრავალს ტყუილს მოველოდეთ „ივერიის“-გნივ. ვინც კადმის დაჭერაც არ იცის ხელში ღმრთეობის რიცხვთან, ვისაც სრულებით არ მოხვედრია სწავლა-განათლების სხივი (როგორც არის სამხედრო

გზის მეთვალ-ურე ანდ. კობაიძე), იმასაც კი უაზრო ხვევით იღებს თავისი ემინანარსო და უაზრო ქმნილებით. მაგრამ თუ გონება დაუშვითებელთ გაურჩევლად მიანიხათ საზღვარ-გადასული ღმრთეობა და გმობა და ელეემენტარული კეთილ-შესაფერის სამზღვარაში მსჯელობა, ანუ სიცრუე ღმრთეობით, რედაქციას ამა თუ იმ ამბის წარმოქმნაში რატომ ადარ აქცევს ურადლებას ან იმას, რომელი პირზედ ლაპარაკობენ, ან ვინ ლაპარაკობს ღმრთეობას ან რას ლაპარაკობენ, რომ ამითი ასწონ-დასწონოს, თუ რომელი ამბავი უფრო საწმენდაა?!... განა უერთან ყველა გავლილი აზრები და ამბები არის მისაღები ღმრთეობა? გაზეთში გამოსაცხადებელი?... «ივერიის» რედაქცია არ კმარობს ამ ნათქვამების ბეჭდვას, რომლებიც სიმართლედ თითონ არ ეჯერება, მასთან ურთავს ოხუნჯურ დამატებას, რის ნიმუშსაც წარმოგვიდგენს ხევიდგან მიწერილი ახალი ამბავი, რომელიც განმარტებულია «წიკურტში» (ფელეტონი № 87). ამის პასუხად ჩვენ მოვავთანებთ რედაქციას ბრძენი ი. ზირაქის შემდეგ სიტყვებს: მკავალ-მეტყველანა ქუბდობენ მასზედ, რაც მათ აქ შეეხებათ; სოლო სიტყვანი კეთილ-გონიერთანი აწონილნი არიან სასწავლებელ (21, 22).

ყველაზედ უბოროტესად მოხმარება სიტყვისა არის ცილის-წამება, რომლითაც ცდილობენ გააუპატიოსნონ საზოგადოდ ცნობრება კაცისა. ცილის-წამება მაშინ კიდევ უარესი საზიზღარია, როცა ცილის-წამებელი სცნობს სიცრუეს თავისგნივ გამოგონებული ამბისა და მანც არ ირცხვენს, გაამყავნოს იგი საზოგადოებაში, ოღონდა ამით კი ვნება მისცეს არა მართლ მოუვასის პატიოსნებას, არამედ მის კეთილმდგომარეობასაც. კიდევ ამ საშინელი ბოროტების აცილებას ევედრება ფსალმუნთ მგალობელი სიტყვებში: მისსენ მე ცილის-წამებისაგან კატათსა. ამისათვის ცილის-წამება ჩვეულებრივ იმოსება კეთილ-განზრახვის რჩევის სახით ღმრთეობისთვის, ან ვრცელდება ხმებად, რომლებიც არ იცნობიან ვისგნივ არიან წარმომდგარნი. წინდაუხედავი და ადვილად მოწმუნე ხშირად იჯერებს და თავის მხრით ავრცელებს ამ ხმებს. როგორც უნდა იყოს ცილის-წამება, ცილის-

მწამებელნი საზიზღარნი არიან, რადგან მათი ერთ დიდი ვნება ეძლევა კაცსა. მისხენ მე ცაღის წამებისაგან კაცთასა.—ამ აწერილი ცილის-წამების მსგავსია ცილის-წამება ახალი ამბავის ავტორისა ხვიდგან, რომელიც ვაბედულად ამბობს: «აქაც (სტეფან-წმიდაში), სამწუნაროდ, წირვა ქართულს ენაზედ ვერ მოისმინეს» (აღდგომა დამეს) ღ ვითომ «წირვას დაესწრო 200-მდე ქართველობა ღ ორიოდე მოსამსახურე რუსი». აქ სამწუნაროდ ჩვენ სწორედ იმას ვთვლით, რომ დასახელებული კორრესპონდენტი იმ კატელოგის პირთ ჰკუთნებია, რომლებზედაც იტყვის ფსალმუნთ-მგალობელი: «თვალ-ასხენ, და აჩა ჰხედვეს; უწრ ასხენ, და აჩა კმისთ... ხელ ასხენ და აჩა განიხილვეს». ამ კორრესპონდენტის მთელი ურადდება «ბურდულებს» ჩაუყლაპავთ და ვიდას შეამჩნევდა!.. ვანა შეიძლება მეტი გატაცება ურადდებასა: სამი კვერქსი ცისკარ-წირვაზედ ასამაღლებლებით და სანარების წაკითხვა რუსულად (რომელიც ქართულადაც იყო) რუსულს ენაზედ წირვად ერვენა და 40-ზედ მეტი რუსიც—«ორიოდედ»? რომ ავტორმა თავის მიზანს ტყუილებით მიანწიოს, მთლად 90—110-მდე მსმენელთ „20-მდე“-თ დასახელებს (პატარა ეკლესიაში კიდევ ჯარისკაცები იყვნენ). აქედგან აშკარად სჩანს, რომ ამ საბრალო სუბიექტში, რომელიც ესე პირ-და-პირ სინამდვილეს ამანინჯებს და ნახილავს ფაქტს ჰვარავს, ტყუილი ღ ცილის-წამება ჩვეულებრივი მოვლინება უოფილა; რომ მისგნივ ნათქვამი დაფუძნებულია განზრახულის გადასხვაფერებაზედ და გაზვიადებაზედ, ამტკიცებს ავტორის ზნეობრივ-გონებრიულს სიმდაბლეს. ნახევრამდე მსმენელ რუსთა გულისთვის მეთედზედ ნაკლები სათქმელი, რუსულად თქმული, ამ დიდს ბატონს არა სასიამოვნოდ დარჩენია! ეგოისტს თავისი თავის მეტი, ეტყობა, არავინ ავონდებოდა ღ თავისი ცრუ-პატრიოტული გრძობების გასატარებლად «ბურდულები» წამოხჩირამს; ეტყობა, მას არც ზეციით მოვლინებული სწავლა შეუსმენია: ნუ კინ თავისა ხალხი კმაენ, აჩამედ მოუკისაღა თვითოული. ნუ თუ ამ უაზრო მკიცხავა არ უწყის, რომ წინააღმდეგ ამისა მფიქრავი და მთქმელი გონებრივ ღ ზნეობრივ მუდამ დაბალია! თუმცა ეს

ვატებლანი დაჯერებით იძანის: სტეფან-წმიდაში ბურდულები «სწორედ იმ აზრით წამოსუდიკუნენ, რომ ეგებ ქართული წირვა-ლოცვის დირსი გავნდეთო», მაგრამ თითონვე დარწმუნებულია, რომ ისინი წამოვიდნენ, მქონენი სახეში მარტო მეორე მიზნისა: „ნათესავებიცა ვნახოთო» ღ (ჩვენ დაუმატებთ, რაც თითონ ავტორმა განგებ არა სთქვა) მათში დროებაც ვავატაროთო; ეკლესიაში თუ შევიდნენ ივინი, შევიდნენ როგორც ახლო შემთხვეუდნი. ჰემბარიტების მოყვარენი დაგვთანმდებიან, რომ მთის ქართლელნი ამ დროს შორს სოფელს წავლენ მომეტებულად ორი აზრით: ან «ნათესავები ვნახოთო», ან კიდევ ცრუ-მორწმუნებრივი წესი (მკითხავის რჩევა) ავასრულოთო. აშკარაა, რომ ავტორს ესეთი სიცრუის თქმა სულ სხვა სახით მოდის. სუველას თავი დავანებოთ: ნუ თუ, რადგან «ბურდულები» მოვიდნენ, იმისთვის წირვა აუცილებელივ მთლად ქართულად უნდა უოფილიყო!.. ეგება სხვა ადგილიდგან უფრო მეტი მოვიდნენ და მეტადაც მწუქრვალნი წირვა-ლოცვის მოსმენისა! «ბურდულები» უვეგან და უოველთვის მოისმენდნენ ქართულს წირვა-ლოცვას. სამწუნაროს არის, რომ კორრესპონდენტის, «ბურდულებისგნივ» შეპურობილს, ურადდებას ლარსიდგან წირვის მოსასმენად მოსულს პირთადმი აღარ მიუხწევია, ან უკანასკნელნი დირსი არ გამხდარან ამისთანა ურადდებასა. ავტორს არც ეს უნდა სთქვას გამოტებით: «ბურდულები» უფრო წირვის სურვილმან გამოიტაცა სტეფან-წმიდაში, თუ ლარსის უფროსი, მისი თანამემწით, მწერალი, ხელოსანნი (მჭედელი, დურგალი ღ სხ., რომელნიც იქ ეკლესიის უქონლობისა გამო, მართლა ვერც ერთს ენაზედ ვერ ედირსებოდნენ წირვის მოსმენას! საქმე კიდევ ის არის, რომ არც ეს 15-მდე ლარსიდგან მოსულნი გამხდარან დირსნი შემჩნევისა „ბურდულებისგნივ» თვალ-ახვეული კორრესპონდენტისა, არც კანობეგის მადაზიის ზედამხედველი 9 ჯარის-კაციო, არც ფოსტის განუოფილების უფროსი ცოლით, არც ამისი ჩინოვნიკი, არც სადგურის მაწარმობელი ცოლით ღ ბუფეტის პატრონი ცოლით, არც მწერალი, მეთვალყურე ვზისა რუსი, ოთხი

მოსამსახურე რუსი ფოლტის ღ ბუფეტისა, არც ხელმანები და ქურები სადგურისა, არც უკანასკნელად ბერძნები, მართლ რუსულის მკლადნენი ღ სხ... ჩამოთვლა არ იყო საჭირო, მაგრამ მაინც, ვისაც შეგვიძლიან, ვასახელებთ სომართლის გამოამჟანგებისათვის. ამას რომ დაუმატოთ ისიც, რომ რუსული ბევრს ქართველს დამსწრეთაგანს ესმოდა, მაშინ გაბედულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთლიად რუსულს ენაზედაც წირვა ორს წილს მსმენელს დააკმაყოფილებდა. მაგრამ ზემოდ არა ვსთქვით, «ბურდულების» გადაძვიდეს ღ პირთვნილი ინტერესების მონას მთელი ყურადღება მიუქცევია «ბურდულებისთვის ღ მთელი წირვა თავისი ღ მათი სულის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სდომნია ღ იმას კი არ ჰყოქრობს, რომ დმერთსა უოკლთა კატთა ჰნებაჰს ცხოვრება. არც რომელიმე მღვდელი ასე ვიწროდ არ საზღვრამს, ჩვენის აზრით, არამედ ახსოვს უოველთვის, რომ მეტადრე დვთის-მსახურების საქმეში, ამა ღ იმ ენას უპირატესობა იმდენად არ უნდა ეძლეოდეს, რომლის ძალითაც ვითომ ერთის ხმარება შეიძლებოდეს, მეორე წინააღმდეგად ითვლებოდეს. ვიწრო მსჯელი კორრესპონდენტისებ არა მოაზრე მღვდელი მიჰხედავს მხოლოდ მსმენელთ, და, შეძლებისათებ, ეცდება, რომ არც ერთი მსმენელის სულიერი საჭიროება უარჰყოს; თუ მსმენელი ერთვებით ჰრეფნი არიან, მაშინ დვთის-მსახურებაც, შესაძლოა, «აჭრეფდეს», რადგან მღვდელი დარწმუნებულია, რომ მას დირსება ამითი არავითარი არ ერთმევა, ოდონდ კი რიგი ღ წესი ნუ შეიცვლება ღ რადგან იცის, რომ: «ეკლესიასა შინა ჰჩისტესსა აჰს აჰს წარმატთ, და უჩია, წინადაცკეთილება, და წინადაუცკეთლება, ბარბაროსს, სკითელ»... გვიგვირს, რომ თავის ბიძის ეკლესიაში (სიონს, დუშეთის მაზრისა) ბერძნული გალობა უსიამოვნოდ არ დარჩა, იმ კორრესპონდენტს! ავტორის აზრით თვით კეთილ-მშვენიერების დვთის-მსახურებაში მიმდევნი ეკლესიებიც (როგორებიც არიან თბილ. სას. სემ., სადაც 2 გუნდი მგალობელთა ჰგალობს) გასაკიცხნი უოფილან.— კერძი მტერ-მოყვარე განგებ აბნელებს ადგილობრივ მღვდლის მეცადინეობას მთავარ-დი-

ავკნის შემოსვის დროს ბართ დუდუშურის მობმარების საქმეში ღ სოფლის უმაწვილებისგნივ გალობის გამართვისა წირვა-ეკლესიაზედ. მთავარ-დიაკონი მ. დუდუშური წინადაც იყო სტეფან-წმიდის ეკლესიასთან, მაგრამ გალობა ღ საზოგადოდ დვთის-მსახურების წესიერება... მღვდლის დანმარებამ ღ ჯილდოს აღთქმებმა გაამხნევეს კითხვა გალობის საქმეში მ. დუდუშურიც და ბავშვებიც. რა მთვსთხოვოთ ეკლესიის და საზოგადოდ სასულიერო საქმის შესახებ იმას, რომელიც პირველად ისმენს სახარების ორს ენაზედ წაკითხვას ადვგომა დდეს და ეს წესიერების წინააღმდეგად მიანჩია?!... სიმართლე და კილო ნაწერისა დასახელებულს ან. კობაიძის გვარგენებს, რომელიც შეგნებით სიავ-კარგისა სრულებით არათერთ გაიჩრევა უბრალო ხალხისგან. ამ შემთხვევაში ავტორი წარმოგვიდგენს იმ პირს, რომელზედაც არის ნათქვამი ქართული ანდაზა, «კუმ ფერი წამოყო, მეც ნახირ-ნახირო» და მაგისთანაზედ იტყვის სადმართო წერილიც: უკეთუ კინმე სსკასა მომდგრებდეს... განათლებულ აჰს, აჰს ჰა იცის, აჰამედ სნუელ აჰს ძაგბისათვის და სიტყვათა ალაგისათა, ამიტომ არც მღვდლები ამის დარიგებით სწირვენ.— და ადესრულოს «ივერის» მღვდლების განკიცხვის საქმეშიაც წერილი, მაცნოვრისაგან თქმული: და სთქვან უოკლთა სიტყვა ბარბაროსი თქვენდა მამართ სიწრუით ჩემთვის.

მღვ. პან. ბარ—შეფლი.



წ მ რ ი ლ ი კ ი ე ვ ი ღ ბ ა ნ .

წელს კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლა დამთავრა I ქართველმა, სახელდობრ კალისტრატე ცინცაძემ, რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიის მთავრობამ 1888 წ. გაგზავნა სახელმწიფო ხარჯით ხსენებულს აკადემიაში.
ბ. ცინცაძემ კანდიდატობის ხარისხის მისაღები საკანდიდატო საკმაო ვრცელი თხზულება დასწერა საქართველოს ისტორიიდან აღმოჩენულს შემდეგს ტემაზედ: „ივერის ეკლესიას სასწანიდების დროს“.



აი რას ამბობს ამ თხზულების შესახებ პროფესორი აკადემიის ბ. მალიშვესკი, რომლის «რეცენზიას» მოკლედ ვაცნობებთ აქ მკითხველებს.

«თხზულება გაიყოფება ოთხ თავად.

თავი პირველი. აქ ნაამბობია ისტორია ქრისტიანობის დამყარებისა და გავრცელებისა ივერიაში. ავტორი არ სტოვებს უყურადღებოდ წმ. ანდრია მოციქულის ქადაგებას საქართველოში და კრიტიკულად განიხილავს თქმულებებს ამ ქადაგების შესახებ. შემდეგ ავტორი განიხილავს წმ. ნინას და მირიანის დროს. აქ ავტორი ვრცლად მოგვითხრობს შემატანეთა და წმიდათა ცხოვრების აღმწერთა ცნობებს, რომელნიც კი ხსენებულს დროს შეეხებოდნენ, რათა ამით მოჰქინოს ნათელი უმთავრეს ფაქტებს ივერიაში ქრისტიანობის დასაწყისისას. ამ თავშივე ავტორი შეეხება ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში, ბრძოლას ქრისტიანობისას ცეცხლის თაყვანის-მცემლობასთან, ეკლესიის სასარგებლო ღვაწლს ივერიის საუკეთესო მეფეებისას, მაგ., ვახტანგ გორგასლანისას, აღწერს ღვაწლს სარწმუნოებისთვის წამებულთა და შეეხება ივერიის კავშირს ბიზანტიასთან და აღმოხაველეთის სხვა-და-სხვა მხარეებთან, კავშირს, რომელიც სასარგებლო იყო ივერიაში ქრისტიანობის განმტკიცებისათვის.

მეორე თავში ავტორი იკვლევს საეკლესიო მმართველობას და საეკლესიო იერარქიას ივერიაში. აქ ავტორი მოგვითხრობს მცხეთაში პირველ საეპისკოპოსო კათედრის დაწესებაზედ, პირველ ეპისკოპოსზედ, კათალიკოსზედ, ივერიის ეკლესიის ანტიოქიის ეკლესიიდან დამოკიდებულების დასაწყისზედ და ამ დამოკიდებულების ხასიათზედ, უარჰყოფს ზოგიერთი სწავლულების აზრს ივერიის ეკლესიის სომხითის ეკლესიიდან დამოკიდებულების შესახებ; შემდეგ ავტორი განმარტავს ურთიერთობას ივერიის სახელმწიფოს და ეკლესიის შორის, საეკლესიო სამართალს, ეპარქიების დაწესებას, საეკლესიო კრებებს და ბოლოს წარმოადგენს ივერიის მთავარ-ეპისკოპოსების სიას.

მესამე თავში ავტორი შეეხება ივერიელთა განათლებას სასანიდების დროს. ავტორი ამტკიცებს, რომ ივერიელებს თავის დროის შესაფერი კულტურა ჰქონდათო ქრისტიანობის მიღებამდის. აქ შეეხება საღმრთო წერილის და საეკლესიო წიგნების თარგმნას ქართულს ენაზედ და ამ ენაზედვე ლეთის მსახუ-

რების შემოღებას, წმიდათა ცხოვრების აღწერას და ქადაგებათა, როგორც ლიტერატურულს ნაშთებს. ამავე თავში ავტორი ნათლად უჩვენებს, თუ ივერიის მართლ-მადიდებელი ეკლესია როგორ ებრძოდა ეგვიპტის და ნესტორის მწვალებლობათა. როგორ სძლია მათ და განიმტკიცა ხასიათი მართლ-მადიდებლის ეკლესიისა.

მეოთხე თავში ავტორი შეეხება ქართველთა ქრისტიანობრივ ცხოვრებას სასანიდების დროს. ქართველები კეთილმასახურებას იჩენენ ეკლესიების შენებაში და მათ შემკობაში, მიდიან პალესტინაში და იქ მონასტერს აშენებენ. ამავე თავში ავტორი შეეხება ივერიის არქიტექტურის თავისებურს ხასიათს. აქვეა ნაამბობი საეკლესიო დღესასწაულებზედ პატივსაცემლად წმმ. ნიეთთა (ქრისტეს კვართისა, ქრისტეს ლურსმნისა) და წმიდათა პირთა და ამათის ნაწილებისა. აქვე ავტორი შეეხება ივერიაში ბერობის განვითარებას 13 სირიელ მამათა მოსვლის შემდეგ.

ავტორს გულწრფელად უყვარს თავისი სამშობლო ეკლესია და გატაცებულია სურვილით შეისწავლოს მისი ისტორია. იმისთვის ძვირფასია მისი გარდმოცემანი, მისი სიწმიდენი, მისი მართლ-მადიდებლობა და კეთილ-წარმატება. როგორც ქართველი ავტორი ვრცლად ვაცნობილია ქართულ ისტორიულ პირველ წყაროებთან, აგრეთვე აქვს შესწავლილი რუსეთის და უცხო ქვეყნელთ ისტორიული მწერლობა, რომელიც კი ივერიას შეეხება. ზოგიერთს აღვიღას მისი ისტორიული კრიტიკა სუსტია, მაგრამ ეს მას ევატივება, როგორც გამოუცდელს ახალგაზდა ისტორიულს მკვლევარს. ავტორი ბევრს საცილობო კითხვებს, (მირიანის მონათელის დროს, კათალიკოსობის დაარსებას, ივერიის სომხითის და ანტიოქიის ეკლესიათა ურთიერთშორობას) ივერიის ეკლესიის ეკლესიის ისტორიიდან ნათელს ჰფენს. საზოგადოდ ავტორის შრომა ქების ღირსია». ასეთივე აზრი წარმოსთქვა ამ თხზულების შესახებ აკადემიის პროფესორმა ბ. ა. ოლენიციკიმ.

ჩვენ ჩვენის მხრით ვისურვებთ, რომ ბ. ცინცაძეს არ მიეძაძოს ზოგიერთი უმაღლესს სწავლა დამთავრებულ ქართველ ახალგაზრდებისთვის და მათ მსგავსად მხოლოდ კუქის მახური არ გამხდარიყოს, ვინაიდან «არა პურითა მხოლოდ ცხოვრდების კაცი»...

ილ. ფერაძე.

სამეურნეო სკოლის შენობის საფუძვლის კურთხევა ქუთაისში 5 ივლისს.

ჩვენმა გაზეთის მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ უმაღლესმა მართებლობამ გარდასწყვიტა ქ. ქუთაისში სამეურნეო სკოლის დაარსება და ამ სკოლის შესა-
ნახავად ადგილობრივ ხაზინიდან დანიშნა საჭირო ფულები. ამ მშენებელი დაწესებულებისათვის ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულთა ბანკმა გადასდო ერთ ღრობეთად 9,000 მ., ხოლო ყოველ წლით 3,000 მ. ამ სკოლის შენობის აღსაშენებლად ქალაქმა დაუთმო მთავრობას ფერმა და მის გარეშე მდებარე ადგილები. სკოლის შენობის საფუძვლის კურთხევა მოხდა 5 ამა თთვეს. მისი ყოველად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი ამდღეს ქუთაისში არ ბრძანდებოდა და ამისათვის სკოლის საფუძვლის კურთხევისათვის მოწოდებულ იქმნა საკათედრო სობოროს დეკანოზები: მშ. ი. კიკაძე-შვილი და ი. ჭიჭიანი. საფუძვლის კურთხევაზე დაესწრო ქუთ. სამხედრო გუბერნატორი და თითქმის ყველა უწყების წარმომადგენელი და მრავალი გარეშე ხალხი. როცა საფუძვლის კურთხევა გათავდა, საპატიო პირნი მიწვეულ იქმნენ საუზმეზე, რომელიც გამართული იყო ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების განყოფილების წევრთაგან. საუზმემ მშენებელად ჩაიარა. პირველად სამხედრო გუბერნატორმა წარმო-
სთქვა სადღეგრძელო მათი იმპერატორებისა უდიდ-
ბუღაქსობისა. ეს სადღეგრძელო ყველასაგან აღტაცებით იქმნა მიღებული. მუზიკამ დაუკრა სახალხო გიმნი «ღმერთო ფარვადე მცფესა». ყველანი ფეხზე წარმოდგენ და ისე მოისმინეს ეს გიმნი. შემდეგ დაილია სადღეგრძელოები მთავარ-მმართველისა და ბ. გუბერნატორისა. შემდეგ წარმოითქვა სადღეგრძელო სხვა-და-სხვა პირთაგან სხვა-და-სხვა პირებისა, და გამოტყნობილად უნდა ესთქვათ, რომ სადღეგრძელოები რიგიანად არ იყო წარმოთქმული, რადგან საზოგადოდ აღრჩეული ტოლუმბაში არ იყო. ყველას ჰქონდა უფლება ედღეგრძელებია ის, ვინც მასს სურდა და სიტყვაც ეთქვა. ამ საუზმეზედ მართლაც ბევრი სიტყვები წარმოითქვა, რომელნიც ყველასათვის საინტერესო იქნება. ვცდებით გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს ზოგიერთი საინტერესო სიტყვები მიხლოვებით.

სწორედ მოსაწონი არ არის, როცა ზოგიერთი კორრესპონდენტები სხვისგან წარმოთქმულ სიტყვებს ერთი-ორად გადააკეთებენ; თავისებურად შექაზებენ და ამგვარად აგზავნიან რედაქციებში. ჩვენ ვცდებით, რომ ამისთანა შეცდომას ავცდეთ. საინტერესო იყო მშენებელთათვის ბ. ლ. ასათიანის სიტყვა, რომელშიაც მან საკმაოდ დახატა ღვაწლი წინამძღვარის შვილისა მეურნეობის მხრით და ისურვა, რომ ამ კეთილი მოღვაწისათვის მიებაძოს სხვებსაც. საზოგადოებამ სინარულით დალია ბ. წინამძღვარი შვილის სადღეგრძელო და ნიშნად პატივისცემისა და თანაგრძობისა მისწერეს ტელეგრამა. დალია სადღეგრძელო ბ. ხოჯავეისა, რომელმაც მადლობის გამოცხადებისათვის საზოგადოებას დაწერილებით მოუთხრა ანგარიში ამ სამეურნეო სკოლის გახსნისა და აცნობა საზოგადოებას ყველა ის პირები, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ სკოლის დაარსების საქმეში.

დკ. დ. ლაშაშიძემ სთქვა: ბატონებო, მომეცით ნება მეც, მოგახსენოთ ორითავე სიტყვა ამ სამეურნეო სკოლის დაარსებისა გამო: ჩვენ დღემდის ყოველგვარი სკოლები გვქონდა და გვაქვს. არის სასწავლებლები, სადაც იღებენ სწავლას ხალხს მართვისათვის; არის სასწავლებლები, სადაც ასწავლიან, თუ როგორ უნდა დაიცვან სახელმწიფო და საზოგადოება შინაგანი და გარეგანი მტრისაგან; არის სასწავლებლები, რომელშიაც სწავლობენ ეპრობას და აღებ-მიცემას; იღებენ ზოგიერთები ისეთ სწავლასაც, თუ როგორ იცხოვრონ ადვილად სხვისი ანგარიშით. ღმერთმან ხალხს მიანიჭა ეს მშენებელი ქვეყანა, ალსავე ყოველი სიმდიდრითა და ძვირფასი საუნჯითა და დანიშნა ქვეყანაზე იგი ბატონად და უფლად ქვეყანისა. დღემდის ჩვენში არ იყო ისეთი სასწავლებელი, რომელიც მიანიჭებს კაცს რიგიანად ცოდნას და ადვილად იბატონოს ამ მშენებელი ქვეყანაზე. დიდათ სასიამოვნო და სასინარულია ყველასთვის, რომ ესლა მაინც იხსნება სამეურნეო სასწავლებელი, რომელშიაც მიიღებენ სწავლას და შეიტყობენ, თუ როგორ იუფლონ და ისარგებლონ ამ მშენებელი ღვთისგან შემკობილი ქვეყნითა. ღმერთმან ადღეგრძელოს ყველა ის პირები, ვინც ამ საქმის განხორციელებას ხელი შეუწყოდა შემდეგშიაც დამხმარე იქნება ამ ფრიად სასარგებლო და კეთილი დაწესებულებისა.

ყველაზე საყურადღებო და საინტერესო სიტყვები წარმოსთქვა საუბრებზე ბ. დ. ჟღენტმა, ყველა მისი სიტყვები გამაწვეული იყო სხვებისკენ წარმოთქმული სიტყვებით. ბ. ჟღენტის სიტყვები განმეორება იყო ყველ იქ დამსწრეთა გულსა თქმსა. ბ. ექვთიმე ნაზაროვი წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, რომელშიც გარკვევით დაუხატა მსმენელთ სარწმუნოებას დიდი მნიშვნელობა და როცა სიტყვა დაასრულა აღუგრძელა ურიების რაბინი, ისურვა მათი წარმატება და სურვილი გამოხატა, რომ ურები ამ რაბინის ხელქმედი ნელოებით შემოერთებოდნენ ჩვენს ეკლესიას. ბ. რაბინმა მადლობა შესწირა ბ. ნაზაროვს და მოახსენა, რომ ქრისტიანობა უჩვენოთაც ღვთისგან განმრავლებულია და შემოერთება ჩვენს პატარა საზოგადოებას სჭირდება.

ბ. ნაზაროვის სიტყვის შემდეგ წარმოაღვა ბ. დ. ჟღენტმა, აიღო ხელში ღვინით სავსე ჭიქა და მოახსენა საზოგადოებას: «ბატონებო, დიდა ხანია, ველოდით ჩვენ ახალი სასწავლებლის შენობის საფუძვლის კურთხევის დღესასწაულობას, მაგრამ საჭირო იყო ჩვენი სამღვდლოების მოწვევა და თხოვნა, რომ მას საფუძველი ეკურთხებია. სამღვდლოება მოვიდა, აკურთხა საფუძველი და ჩვენთან ერთად შევედრა ღმერთს, რათა ღმერთმა მოაგლინოს თავის მადლი მუშაკთა ანა სასწავლებლისათა და მას შინა მოსწავლეთა და ამის შემდეგ ვლდესასწაულობთ და ვიხარით. მე პირველად ვსვამ იმ სამღვდლოების საღვდლოებს, რომელმაც აკურთხა ამ სასწავლებლის საფუძველი და რომელნიც ღღეს ჩვენთან ერთად სხედან. ბ. ჟღენტის სიტყვები ყველამ დიდის კმაყოფილებით მოისმინა და საღვდლო დალიეს მუნვე მყოფის სამღვდლოებისა.

შემდეგ წარმოსდგა სომხის დეკანოზი ტერ-ღვინთ იარალიანი, აიღო ხელში სავსე ჭიქა და სთქვა შემდეგი: «ყოველივე საქმისათვის საჭიროა ინიციატორი, მმართველი და, ასე ვსთქვათ, წვენი. ამ კეთილს საქმეს ინიციატორიც ჰქონდა და გამგებელიც ეყოლება, მაგრამ წვენის ნაკლებობა ყოველ-

თვის იქნება. ბატონებო! მე ვგონებ, რომ ყველამ კარგად უწყის, თუ რა მაქვს სახეში, როცა ვამბობ, წვენი გვაკლავს-თქო და იმედია რომ... წარმოდგა თავისი მოსწრებული სიტყვით ბ. დ. ჟღენტი და მოახსენა საზოგადოებას: «ყველას კარგად გვესმის მ. ტერ-ღვინთის სიტყვა და ის, რასაც ნიშნავს მისი წვენი, მაგრამ ჩვენში, საუბედუროდ, ჯერეთ კიდევ არ არის შეგნებული და გავრცელებული ამისთანა აზრები. ხოლგრა კარზე გვადგია და ამ დროს ასობით და ათასობით ფულის შეწირვა დიდი საქმეა. მაგრამ ამ აზრის უყურადღებოდ დატოვება სირცხვილი იქნება. ბევრს რომ დავირდეთ და ცოტაც არ მიესცეთ, ისიც საძრახისია. საუბედურად ცოტა იყოს და ნამდვილი. ყველა აქ დამსწრენი ვლდესასწაულობთ და ვხარობთ. მე ვგონებ, არავინ არ გახდეს უარს, რომ თვითოეული ჩვენგანი ჩაეწეროს ქუთაისის სამეურნეო საზოგადოებაში წევრად და სიხარულით შეიტანს საწევრო ფულს 1 თუმანს. ამ მცირე შეწირულებით დიდი ფული შესდგება და ამ საქმესაც კარგად დაეხმარება». ეს სიტყვა ყველამ სიამოვნებით და თანხმობით მიიღო.

ერთმა ვიღაცა ბატონმა წარმოსთქვა ქებით სიტყვა, ხუროთ-მოძღვარზე, რომელიც ძლიერ მცირე ფასად კისრულობს შენობის თვალ-ყურის ღვენებასო. ეს საღვდლო ყველამ დიდის კმაყოფილებით მიიღო. ხუროთ-მოძღვარმა დიდი მადლობა შესწირა საზოგადოებას და თავისი მზრით განაცხადა, რომ მას მართა არასფერი შეუძლია, თუ ოსტატები, მოკანტრანტებიც არ იქნენ მასთან. აქ განლაგან ის ოსტატები, რომელთაც იკისრეს ამ შენობის აგება და იმედია, რომ იგინი ძლიერ კარგად შეასრულებენ შენობის საქმეს. ხუროთმოძღვრის სიტყვის დასრულების შემდეგ ბ. ჟღენტმა მოახსენა საზოგადოებას: ბ-ბო, მოკანტრანტებმა შენობის აგება იკისრეს და ფასსაც იღებენ. გვეუბნებიან, რომ ისინი კარგად ააგებენ შენობას და მეტ შრომას მიიღებენ კანტრანტ გარეშეო. წინ-და-წინ ამისი თქმა არავის არ შეუძლია. ვისურვებთ, რომ ეს მოლოდინი და იმედი ბ. ხუროთ-მოძღვრისა აღ-

სრულდებილიყოს, და როდესაც ეს მოლოდინი განხორციელდება, პატიოსანს სიტყვას გაძლიერებ ყველას, რომ ჩემს საკუთარ ღვინოს წამოვიღებ მაშინ და რამდენჯერმე დაგლევ მაგათ სადღეგრძელოს, ჯერჯერობით კი მათი სადღეგრძელო ნაადრევი იქნება. მე ამ ქამად მსურს დაგლიო იმათი სადღეგრძელო, ვის ფულმაც უნდა მისცეს არსებობა სასწავლებელს. ჩვენ დავლიეთ სადღეგრძელო იმ წოდებისა, რომელიც შემწირულებით დაეხმარა სასწავლებელს და არ დაგვიღვია სადღეგრძელო იმ წოდებისა, რომელსაც შემოაქვს ხაზინაში ფული და ეხმარება ამ სამეურნეო სკოლას. ღმერთთან აღდგომისთვის ჩვენი გლვებ-კაცობა! ის გლვებ-კაცობა, რომელიც ასე გონივრულად ემორჩილება და ეხმარება ადმინისტრაციას ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველამ შევიტყუეთ რამოხდა რუსეთის ზოგიერთ ქალაქებში. ჩვენი ხალხი კი ყოველივე ადმინისტრაციის მოთხოვნისთვის მტკიცედ და დიდის შორხილებით ასრულებსო. ეს სადღეგრძელო ყველამ მიიღო სიხარულით.

ბოლოს წარმოსთქვა სიტყვა ბ. ნ. პრინციპა: ბბ. ყველას თავისი სიტყვა და მოქმედება მოსწონს. ჩვენ ხშირად ვიფიქრებთ ისეთ პირებს, რომელთაც დიდი ღვაწლი და კეთილი საქმე მიუძღვის საზოგადოების წინაშე. ამ ადგილზე, რომელზედაც დღეს აქ შეგკრებილვართ და ვდღესასწაულობთ სამეურნეო სკოლის დაარსებას, გვაფიქრებდა ბ. ვარანცოვი, რომელმაც პირველად დააარსა აქ ამ ადგილზე სამეურნეო სკოლა და ფერმის ადგილი და მისი მიდამოებიც ამ სკოლას მიაკუთნა, მაგრამ სამწუხაროდ მის შემდეგ არ აღმოუჩნდნენ მზრუნველნი და გულშემატკივარნი ამ კეთილ დაწესებულებას და იგი ისე მოისპო, რომ არავის აღარც კი ახსოვს. ჩვენი ვალია მოვიხსენიოთ განსვენებული ვარანცოვი და ვისურვოთ, რომ ამისთანა ბედი ამ სასწავლებელს არ შეხვედროდეს არასოდეს. ყველამ შესანდობელი დალია.

სხვა სადღეგრძელოებიც დაილია, მაგრამ უადგილობრისა გამო ვსტოვებთ მათ. საუზმე 4 საათზედ ვათავდა და სიამოვნების შთაბეჭდილებით სტუმრები და მასპინძლები შინ დაბრუნდნენ.

დასასწრე.

უბიწოება ცოლ-ქმრობაში.

(გაგზქლება *)

მაშ სხვით რით უნდა აიხსნას ის მოვლინება, რომ მამაკაცებს არ თვლიან დაღუპულებად, მათ დანაშაურობის დალი არ დაესხმისთ ამ შემთხვევაში და ქალები კი, თვით მათგან გარყენილები, არა თუ გაძევებულნი არიან საზოგადოებისგან, არამედ მთლად იღუპებიან გამოუბრუნებლად?

ავერ მეორე შედეგი იმავე თეორიისა ცოლ-ქმრობაში!

მამაკაცი, შეჩვეული თავისი სქინების დაქმნაყოფილებას განურჩევლად, ახლა ცოლად ეძებს და ირთავს სანდომიერს, სათნო ქალწულ ქალს. იგი სრულიად არ დაგიდევს იმას, რომ ქალსაც იგივე მოთხოვნები აქვს ბუნებითად საქმროს შესახებ. მაგრამ ქალი ამას ვერ გაამყდენებს და არც კი აქვს შეგნებულო, რომ მისი სხეული მანვე ეკუთნის, სული კი — შემოქმედს. ყველა უფლებები თავის თავზე მან გადასცა ქმარს, და მაშინ რითლა გაირჩევა მისი ცხოვრება როსკიპის დიაცის ცხოვრებისაგან? გაირჩევა მხოლოდ იმითი, რომ იგი მიყიდულია ერთ კაცზე, ქმარზე და ძალიან მკირე ფასადაც. მეტი არ იქნება, ვთქვათ, რომ ეს ერთად ერთი რასკიპია ქმრისთვის ბევრის ნაცვლად. მხოლოდ როსკიპებთან შედარებით იგი მოკლებულია თავისუფლებას დროის და გარემოების ამორჩევაში. ამნაირმა ცოლმა, არა თუ ფიზიკურად უნდა იტანჯოს, თანაც უნდა ითმინოს უფლრმესი ზნეობითი შეურაცხება, უპატიურობა და ბიაბრეობა.

შეიძლება შემთხვევით იგი გახდეს დედად, მისცეს ქვეყანას ან სასუკველი შეილი, რომელიც მერე მოკლებული იქნება ფიზიკურს ძალ-ლონეს და სამაგიეროდ ექნება მიღრეკილება ანორცობისადმი და სიმრთელის დამლუპელის მსუნაგობისადმი; შეიძლება კიდევ გაჩენის დღე იწყელოს.

ერთი შეგნებულო დედაკაცი აი რას მოჰყვა თავის თავზე: «არ წელიწადს უკან, გათხოვების შემდეგ, მე გავხდი დედად სუსტის, სნეულის შეილისა, რომელის სიცოცხლის დასაცველად მუდმივი ზრუნვა ფარეზი იყო საჭირო. შეილის თთვისა ჯერ არ იყო ბავშვი, რომ მე, ჩემდა საოცრად, ხელახლა ორსული

*) ის. «მწყემსი»-ს მე-12 № 1892 წ.

გამოვდექი. სირცხვილმა დამწვა, მიწა გამწყვეტოდა, მერჩინა! დაბადებული და დაუბადებელი შეილიც ორივენი მოაკლდენ თავის კანონიერ სამკვიდრებელს, საზრდოს. ცრემლით ვიმდულრებოდი, როცა ჩემს დედას ვუამბე ჩემი მდგომარეობა. მან ასე მანუგეშა: „რას წუხხარ, შეილი? ორივე შენი კანონიერი შეილია!“ — ამისთანა პასუხმა მთლად აამღვრია ჩემი არსება, მიწას ფეხი დავკარი და შევგჳვილე: „თუმც ის ჩემი ქმარია და ამ ბავშვების მამა, მაგრამ, კანონიერი შეილები ესენი არ არიან. ვერავითარ კაცთაგან შეთხზული რჯულდება, ვერავითარი წეს-აღათი ვერ დააკანონებს ისეთს მოქმედებას, რომელნიც აკლებენ უბრალო ბავშვს სიცოცხლის და სიმართლის უფლებას... გოლებით და გმინვით მე ჩაუფვარდი დედას კალთაში, გრძნობა-მიხდილი. რა მოხდა მომავალში? გააღონღიალეს რა თავიანთი მოკლე ვადა, ორივე შეილები გადვიდნენ „მიცვალებულთა საფანეში“... არც შემდეგ შეგვჩინა შეილები, სანამ ჩვენ ორივე ცოლ-ქმარმა მეცნიერულად არ შევიგნეთ ცოლ-ქმარობის ნამდვილი ბუნებითი კანონი და კანონიერ-შეილობა.

მეორის თეორიის მომხრენი ამტკიცებენ, რომ: „შესქესება არისოსიყვარულის მოქმედება“. ეს შენე-დულება მართალი არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამისი ნდობა აქვს ერთს დროს ორსავე მხარეს. მაგრამ ამასთანავე წადილი უნდა შეთოკილი იყოს დასაზოგველად მაწარმოებელ ძალების და მათის წესიერად მოხმარებისა. რომ ამ სახით შესქესება არის ემბლემა სიყვარულისა, მისი თანამყოლი შეცვალება უნარნარესის ნაწილებისა აძლევს სიმართლეს და მალას მშობელთაც და საშობელსაც; თანაც უფრო განამტკიცებს ცოლ-ქმარობის კავშირს. რომ ცოლ-ქმართ ცხოვრება ამ მოძღვრების თანახმად მიმდინარეობდეს, მაშინ სქესებრივის შეუღლების მოთხოვნილება, თავის დონეზე იქნება დამდგარი და მამაკაცს იგი იმაზედ უძლიერესი და უხშირესი არ ექნებოდა, ვიდრე დედაკაცს აქვს. რომ ქმარს, უფნებლად თავისის სიმართლისა, შეუძლია მოთმინება, თუ ცოლთან მას სრული ერთსულობა აქვს და ისინი არიან ერთხორც და ერთსულ ყოვლისფერში. ამისთანა ბუნებაშიარობით ცოლ-ქმარნი ერთმანეთს ზიანს კი არ აძლევენ, პირიქით დაუფასებლად აჯილდოებენ ფიზიკურადაც და ზნეობითადაც.

ამ მოძღვრებას აქვს თავისი გონიერი საფუძველი და, რა თქმა უნდა, პირველზე უფრო კაცთ-მოყვარულია.

ერთხელ რჩევის საკითხავათ მოვიდა ჩემთან, ამბობს სტოკჳმში, ერთი 10 წლის ცოლ-ქმარობაში შეძენილის ხუთის შეილის დედა. ეს ბავშვები იყვენ უსუსურები, სატკბურიანი, ნერვებ-აშლილნი. თითონ დედას მულამ ექიმობა სჭარდებოდა. თითქო თვითეული მისი სხეულის ორგანო მტკიენეულობდა და ყოველი მათი მუშაობა დარღვეული იყო. ერთი სიტყვით, ეს ქალი საცოდავ სიცოცხლეს ეწვეოდა. როგორც სხვა ექიმების, ისე ჩემი ზრუნვა და ექიმობა მისთვის უქმი შეიქნა. ერთხელ საბრალო შემეკითხა: «როგორ მოხერხდება, რომ შეილი აღარ გამოჩნდესო!» მე რომ ამისი საშიშროება აეუხსენი, მან ეს მიპასუხა: ჩვენის ქორწინების დღეს აქეთ, თუ ათასში ერთხელ ქმარი სხვაგან არ დარჩენილა, თორემ, ისეთი ღამე თითქმის არ შემხვედრია, რომ შეილის ჩასახვის შიში არ მქონოდესო, გარდა ოთხის-ხუთის ღამისა ახალნაშობიარეზე.

— დახე! უყვარხარ კი ქმარსა?

— უყვარვარ და აგრე! იგი მეტად გულკეთილი კაცია და ძალიანაც ზრუნავს ოჯახზე. მეც ძალიან მეყვარებოდა იგი, ეს რომ არ იყოს. მაგრამ ახლა (ღმერთო, შენი ცოდვილი ვარ!) მეზიზღება და მძულს იგი ჭირივით, და, საშუალება რო მომცა ჩემის თავისა და შეილების შენახვისა, მე მას უთუოდ გავეყრებოდი.

— შეგიძლია მოელაპარაკო ქმარს ამ საგანზე?

— ვგონებ, შემიძლია.

— ჰო, მაშ იმედი იქონიე, იმიტომ რომ ბევრ ცოლს არ შეუძლია ამისი ქმნა. უთხარი მას, რომ თქვენის სიმართლის აღსადგენად მე თქვენ წამლობას დაგინიშნავ და, თუ მოითმენს აბა, იმ დრომდე, ვიდრე შენც არ შეგედლება მისის ნდომის გაზიარება, ისე რომ შესქესება აქმნეს სრულყოფით ნატყალებით თავით ბალომდე.

— განა თქვენ ამას ფიქრობთ?

— ჩემი ლაპარაკი დაფუძნებულია მრავალს, ჩემგან შეტყობილს შემთხვევასა და გამოცდილებაზედ.

სრულიად დაიმედებული წავიდა შინ და ექვს თთვეს უკან მე ჩემდა სასინარულოდ შევიტყვე, რომ ჩემი ავადმყოფის სიმართლე გასწორებულყო და თთვეში ერთხელ შესქესება მისს ქმარს ბევრად უმეტესს სიამონებას აძლევდა, ვიდრე უწინდელი გაზიარებული. შეილიერობის ნიჭი უნროთ არ იფლანგე-

ზოდა და ჩემი ნაქიშარი სიამაყით მეტყობდა ხოლმე: «მე მიყვარს ჩემი ქმარი» ნაცვლად წინანდელისა: «მძულსო!».

მესამეს მოძღვრებას, რომ სქესებრივი შეერთება უნდა იყოს მხოლოდ შეილის წარმოშობისათვის, ბევრი მომხრე ჰყავს. ისინი ამბობენ, რომ წარმოშობის სათავეს სულ სხვა მიზნები აქვს, გარდა მოდემის განგრობისა, მიზნები უკეთესნი, ვიდრე შემოხარჯვა სხეულის საუკეთესო ნაწილებისა წუთიერის სიტუბოებისათვის. ეს სათავე (თესლი), თუ იგი შეკავებულ იქმნა სხეულშივე და თუ მასთანვე სულიერნი ნიჭიერებანი სასიკეთოდ წარმართულნი არიან, რაედენათმე შეეთვისება ავებულობას და, გაბრჯნილ-გაქვანილი ყველა ნაწილებში, ალადგინებს დანაკლისს და შეიქმს განსაკუთრებულს გაცოცხლებულს გავლენას. იგი გაჯდება ტენში, შეეთვისება მას და გადიქცევა ახალ-ახალ აზრებად, ეკები ახალ აღმოჩინებადაც; შეიძლება იგი ვახდეს წყაროდ სიმაართლისა, სარგებლობისა, ან მოგვანიჭოს ახალ-ახალი ტყვობანი სინარულისა, კეთილ ზედწაქვებისა და სხვა სიქველეთა. ამ სახით შეიძლება შეკავებული სამეილიერო სათავე (თესლი) შეიძლება გადიქცეს ქვეყნის კეთილმოყოფელად. ერთი სიტყვით სხეულებრი ნაყოფიერება ამ გზით გახდება ხოლმე შემდენად ზნეობით და სასულიერო სფერაში. ხორციელის შთამომავლობის მშობაფი მწარმოებელი ნაწილები ამნაირად იქცევიან სულიერის შეილების, ილიების მშობაფებად.

ამ მოძღვრების მიმდევნი ამას ფაქტებით ამტკიცებენ და მაგალითებზე მიგვიითიებენ: დიდებულნი და სახელოვანი მოღვაწენი სხვა-და-სხვა სარბიელზე: კოდნისა, ფილოსოფიისა, მოპოება—აღმოჩინებათა, პოლიტიკისა, სარწმუნოების და კაცთმოყვარეობისა სწორედ ისეთი კაცები იყვენ, რომელნიც ცხოვრობდნ თანახმად ამ მოძღვრებისა. მაგალითად პლატონი და ნიუტონი, როგორც დარწმუნებით ვიცით, ცხოვრობდნ თავით ბოლომდე ქალწულებად. სხვა სიმტკიცე რომ არ იყოს ამისი, მართო სიუხვე მათის სულიერის შეილებისა, ე. ი. მათის ილიებისა, მოწმობს ამას.

ამ მოძღვრების მიმდევართა შეხედულობით «მწარმოებელი ძალა» ეკუთვნის დედაკაცს; მაშასადამე მისი უნდა იყოს არჩევანიც, როდის უნდა გაჩდეს ახალი არსება. მხოლოდ ამ წესით შეიძლება დაცულიყოს ქალი მისის არსებობის უპირველეს დანიშ-

ნულებადში—დედობის საქმეში, თვითთველთ დედა მასში ახალი სიცოცხლის ჩასახვის პირველ წუთითგანვე ნამარები ჰყავს უზესათესს საფარველს. ქალს რომ შეგნებული ჰქონდეს თავისნი საჭიროებანი და მაღალი მნიშვნელობა, მას შეეძლო უზრუნველ გაეხდა თავის თავისადმი პატრება შესაფერს მისის საღეთო მოვალეობისა. ქალი რომ ასე არ ბრკოლდებოდეს კაცის ქვენა მიდრეკილებათი მისს პიროვნებაზე, იგი სრულის გულით და სულით მიეცემოდა მასში ახლად ჩასახულის არსების ზრუნვას. მაშინ ძალიან მალე მოიპობოდა ის მახინჯი სხეულებრივი და სულიერი მოვლენებანი, რანიც დღეს აღუზჭირებენ კაცობრიობის შეენიერს სახიერებას.

დედა, ნაყოფის მტვირთველი თავისს საშოში, უნდა იყოს მიუყარებელი სიწმიდე. ჰო, დედაკაცო! ეს უნდა იყოს ჯილდო შენის გარჯილობისა და ტანჯვის, რანიც მოსდევნ ხორციელს ცხოვრებას ცოლისას და დედისას».

«ეინც ამ აზრის მომხრეა, იმისთვის გასახარელი უნდა იყოს იმისი შეტყობა, რომ არა მხოლოდ ქემართლად განათლებული ქალები, კაცებიც-კი, რომელთაც მაღალი ადგილი უკავიათ მეცნიერებაში და მწიგნობრობაში ამისი თანახმანი არიან და ქადაგებენ მასვე. დღეს ევროპაში და უფრო ამერიკაში ბევრი საგულისხმიერო წიგნია დაწერილი ამ საგანზე, მაგალითად: «სწავლა ახალ ცხოვრებაზე» დოქტორის კაუერისა, «საუკეთესო გზა» ა. ე. ნიეტონისა, «შეუფერალი მოვლენანი» კელიიგისა და სხ. ძირეული აზრი ამ წიგნებისა არის თავშეკავების განაღი და მათში შეცული მრავალი საგულისხმიერო, საპრაქტიკო დარიგება კოლ-ქმრისთვის. უნდა შეენიშნოთ, რომ ყველა ეს წიგნები დაწერილია მამაკაცებისაგან და არა ქალებისაგან, მაგრამ ისეთი თავგამოდებით ადასტურებენ იმ აზრს, რომ მხოლოდ თავდაჭერილის ცხოვრებისაგან უნდა მოველოდეთ ნამდვილს წარმატებას; რომ მხოლოდ ამ გზით შეექმნით საუკეთესოსა და განვითარებულ ახალ-თაობას. ეს ისეთი დამაფიქრე-

ლი სავანია, რომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მას მეცნიერების, ფილოსოფიის და ფილანტროპიის წარმომადგენელთაგან.

თუ რომ სრული თავდაცულობა შეუძლებელი გახდა ვისთვისმე, მაშინ ეს მაინც უნდა იღონონ, რომ დედა თავისუფალი გახდეს სქესებრივის შეერთებისგან ორსულობაში და ძუძუს წოვების თთვეებში. ქმარი უნდა ყოველთვის მანუგეშებელი და გამამხიარულებელი იყოს ცოლისა სრულს თანაზიარობით და თანაგრძობით. მას მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ მისი მუცელქმნილი და მაწოვარი მეუღლე არსებითად სპიროვნებს შეინახოს თავისთვის და თავის შეილისთვის ყველა მაცოცხლებელი ძალები. ქმარს უნდა ახსოვდეს, რომ «გამგობა ეკუთვნის გონებას, ხოლო ვნებანი ამისნი მსახურნი უნდა იყონ».

თავშეკავების წესის დაცვა დიდ შეღავათს აძლევს საგრძნობლების (ნერვების) აშლილობას, რაც ორსულობაში თან სდევს დედაკაცს. დედა კი ამ მდგომარეობაში ზოგჯერ ისეთი მგრძნობიარე ხდება, რომ ერთი უბრალო მიკარება, კოცნა და ლაღიცი მასში გამოიწვევს ხოლმე გულისყრას და ტკივილებს. სქესებრივი შეერთება ამ დროს ძალიან ასუსტებს და განლევს დედას და ვნებს საშობა ყრმას, რომლის სხეულს ეძლევა მით აღრეულის ანბორცობისადმი მიდრეკილება. ამიტომაც არის რომ მეძვე დედამას გამოუღის მეძვე-გარყენილი შეილი. დედ-მამა უნდა სცდილობდნენ, რომ ფიქრიც კი უნდა მოარიდონ ამ სავანს, გულსმოღვინეთ უნდა ცდილობდნენ, მოშორდნენ ყოველს, ნდომის ამამტუტებელს და საღერღელის ამშლიელ გარემოებას. ამის გულისთვის არა თუ ცალკე ლოგინი, ცალკე საწოლი ოთახიც კი უნდა ჰქონდეს ქმარს.

(შემდეგი იქნება).

ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენს ქუთათურებს დიდხანს არ სჯეროდათ, რომ მათაც ეწეათ დაუპატიყბელი სტუმარი ხოლერა, მაგრამ ეხლა ნამდვილად დარწმუნდნენ, რომ ხოლერა აქაც შემოჰპარიათ დასასტიკათაც ეპყრობა მასპინძლებს. 21 ივლისიდან ამ ჰატარა ქალაქშიც კარგა ბლომად კედებიან ხოლერით. როგორც ეტყობა, ქუთათის ვერ არის კარგად მოწყობილი ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად. უბედურება ის არის, რომ ხალხი გავიდა სოფლებში და თან გაიტანეს ეს საშიშარი სატკივარიც. ქვიტირში, გეგუთში, ბაშიში და სხვა სოფლებშიაც მძვინვარებს ეს სენი. ერთ-ორ ადგილას ასაბრით და იმერული ტარილით დაუმარხავსთ გარდაცვალებულები. რა უბედური შედეგი ექნება ამისთანა უყურადღებობას, ამას ყველა კარგად მიხედება.

* * *

25 ამ თთვეს, ქუთათის ბაღში გახსნეს დარიბ ხალხისათვის მუქთად ჩაის სასმელი. ქალაქში კარგა ძალი ფულები მოიბოჭა ამ საჩაიესათვის. კურთხევაზედ დაესწრო ბატონი გუბერნატორი, რომელიც ყოველთვის ამხნეებს ხალხს და თვითონაც თავის თვალთ ათვალისერებს ქალაქს და მის სისუფთავეს.

* * *

ახალდღისადგან გვწერენ: «გადლიერდა თუ არა ხოლერა ბაქოში, ჩვენი ახალციხის ქალაქის თავი, მაზრის უფროსი, მაზრის ექიმი მაშინვე შეუდგნენ ქუჩების, სახლების და საგებ-სახურაის გასუფთავებას. მაშინვე აკრძალეს ყოველგვარი მანებელი ხილის ბაზარში შემოტანა; ამასთანავე ყურადღება მიაქცეს

მეფურნებს. ყოველ ღღეს დაიარებიან სასანიტარო კომისიის წევრი, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებენ სისუფთავეს; გააკეთეს ღროებიით საავადმყოფო ხოლერიან ავადმყოფებისათვის. დააარსეს კარანტინი და ყურადღებას აქცევენ სხვა ადგილებიღვან მომსვლელებს. იმედი გვაქვს, რომ ამ საშუალებით როგორმე ავიცილოთ ეს უბედური სენი. ადგილობითი გრიგორიანთა და კათოლიკეთა სასულიერო წოდება ყოველ დილა-სალამოს სავედრებელ პარაკლისებს იხდინან. ხალხი ღუქნებს ჰკეტავს და მიღის ეკლესიაში სავედრებელად ღეთისა, რომ ღმერთმა დაიფაროს ისინი ამ სენისაგან. დარწმუნებულნი ვართ, რომ ყოველის შემძლებელი ღმერთიც ხელს მოგვიმართავს, თუ ჩვენც ვეცდებით სისუფთავეს და საქმელ-სასმელში ზომიერობას.

* * *

გაზეთში დასაბეჭდად ჩვენ მივიღეთ მღვდლის გრიგოლ ქინკლაძისაგან შემდეგი წერილი:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო აზნაურს იაგორ იოსელიანის მეუღლას მაკას, რომელმანც შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამო გოგორეთის წმიდის გიორგის ეკლესიას ბარძიმი, ფეშხუმი, ვარსკვლავი, კოვზი, ლახვარი და თასი თავისი დაფარებით, ღირ. 100 მანეთად.

* * *

მღვდლის მაქსიმე ჯგუშისაგან:

«უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული ჟურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო, როგორც მე, ისე ჩემმა მრევლმა ქვემოლ აღნიშნულ ღეთის-მოყვარე პირთ, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულ ხეთის დიხა გუძუბის წმ. გიორგის ეკლესიას სხვა-და-სხვა ნივთები: აზ. დიტო მერაბისძე კობახიძემ გვირგვინები, ღირ. 8 მ., მოვაჭრე ისიდ. მაქაცარიამ შანდალი, ღირ. 8 მ., მართა ქორჩილაყას ასულმა სასანთლე, ღირ. 9 მ., გლენმა კვატატი კუყაყამ კანდელი, ღირ. 7 მ., დესტენიკმა ტაგუ ხეჩიამ სასანთლე ხისა, ღირ. 5 მ., და მოვაჭრე ნესტორ კუყაყამ 2 მომცრო ხატი ახალი ხელობისა, ღირებულნი 5 მანეთად.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საქირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

პეტილ - წმსიმიშა ტაპარში,

განსაკუთრებით ღეთის-მსახურების დრას.

(გაგრძელება *)

§ 18. მღვდლები ვალდებული არიან ჯეროვანად განუმარტონ მრევლს და მოაშლევინონ ის უბრალო ჩვეულება, რომლის ძალით მშობლებს მოჰყავსთ ბავშვები წირვაზე და დიდი გამოსვლის დროს აყენებენ ყმაწვილებს ბარძიმ-ფეშხუმის ქვეშ. მღვდლებმა უნდა შეავარონ სამრევლოთ, რომ ამ ჩვეულებას არა აქვს ის ძალა, რასაც ხალხში აწერენ მას. თუ მღვდელი კანონიერად და მრავალ გზის განუმარტებს მრევლს ბარძიმ-ფეშხუმის პურიტ და ღვინიტ გამოსვენების ძალას სამსხვერპლოდამ ტრაპეზზედ, გავლენიანი მღვდელი მოაშლევინებს მრევლს ყმაწვილების მიყვანას საკურთხეველთან, მით უმეტეს, რომ ხშირად ყმაწვილები ასტეხენ ხოლმე საზარელს ყვირილს.

§ 19. მღვდლებმა უსათუოდ უნდა ასწავლონ მრევლს, თუ სად და როგორ უნდა გამოისახონ პირჯვარი და მოიხარონ თავი, როგორც ღეთის-მსახურების დროს, ისე სხვა-და-სხვა ადგილს. მათ შესახებ იბეჭდება შენიღნა ქვემოლ ერის-კაცთა შეახებ მუხლში.

II. მოვაჭრეობის მთავარ-დიაკონთა ღეთის-მსახურების დრას.

მთავარ-დიაკონი ღეთის-მსახურების დროს არის განსაკუთრებით მომქმედი პირი. ამიტომაც მთავარ-დიაკონი თავისი წესიერი მიხრა-მოხრით, ღეთის მოშიშებით, კვერქსების და ლოცვების გასაგონი ხმით

*) ის. «მწყემსი» № 8, 1892 წ.



წარმოთქმით და წმ. სახარების მკაფიო ხმით წაკითხვით, არის ღირსეული თანამოსამსახურე ღვთას მოშიში მღვდლისა და შეადგენს სიმშვენიერეს საზოგადო ღვთის-მსახურებისას. ამიტომაც მთავარ-ღიაკენებს და მათ განათლებას საჭიროა მიექცეს ყურადღება. რა არ არის სასურველი, რომ ეხედავდეთ მთავარ-ღიაკენებში ღვთის-მსახურების დროს?

1. მთავარ-ღიაკენები არ უნდა იყვნენ დაუდევნელნი, რომ თავის დროზედ მოამზადონ თვითოეული ღვთის-მსახურებისათვის საჭირო ნივთები, როგორც მაგალითად შესამოსელთა სალორო, საჭირო ხატი ანუ ღვთის-მსახურების შესაფერი წასაკითხი სახარება.

2. არ უნდა იყვნენ გაფანტულნი ღვთის-მსახურების დროს. მთავარ-ღიაკენი არის ძმა, მოსამსახურე და თანამშემწე მღვდელ-მომკმედი მწყემსისა. ამიტომაც მთავარ-ღიაკენის მხრით თანაგრძნობა ლოცვის დროს და კრძალულება, და არა მხოლოდ გარეგანი აღსრულება თავისი მოვალეობისა, აძლიერებს და ამშვენებს მღვდლის ლოცვასაც.

3. მთავარ-ღიაკონი არ უნდა ვაიტაცოს საერო ჩვეულებამ; თმა არ უნდა შეიპარსოს, განსაკუთრებით ტანთსაცმელში უნდა იყოს ზომიერი და ზრდილობიანი და უნდა ერიდოს მედიდურობას და კვკლუცობას.

4. მთავარ-ღიაკენები ეკკლესიაში ღვთის-მსახურების დროს უნდა მიდი-მოდიოდნენ ეკკლესიაში წელა და არ უნდა ჩქარობდნენ მიმოსვლის დროს.

5. მთავარ-ღიაკენები არ უნდა ეღადღებოდნენ მღვდლებს, რომელთაგან იგინი იღებენ ლოცვა-კურთხევას დაიწყონ სამსახური ანუ კმევა. ზოგიერთი ღიაკენები ხანდისხან ხმა-მალლა წარმოსთქმენ; ბევრი ხელზე არ ემკნებევა ხოლმე მღვდელს, ზოგნი ყურადღებას არ აქცევენ, როცა მღვდელნი მათ ლოცვა-კურთხევას გარდასცემენ.

6. სასურველი არ არის, რომ უმართებულოდ აკმევენ ხატების წინაშე და ან როცა საცეცხლოით დაიარებიან ტაძარში და ამ დროს თავიანთ ნაცნობებს ებაახებიან.

7. მოსაწონი არ არის, როცა მთავარ-ღიაკენები გამოდიან წმ. საკურთხევილიდამ კვერქსების

წარმოსათქმელად და ამ დროს თავს უკერენ, იღი-მებიან და თავიანთ ნაცნობთ ემშვიდობებიან და უწესოდ ათვალეურებენ მლოცველებს; აგრეთვე სასიამოვნო არ არის, როცა ღიაკონი, რომელიც სიტყვით მოხედენ იწვევს მლოცველებს, რომ მათ ყურადღებით მოისმინონ წმ. სახარება, თვითონ სდგას მღვდელთან, რომელმაც უნდა წაიკითხოს, ანუ უკვე წაიკითხა სახარება, და სრულებით ყურს არ უგდებს სახარების კითხვას. სამწუხაროდ ზოგიერთ ღიაკენებს სწორედ ამ დროს უყვარს ტაძარში მლოცველების თვალღებება.

8. მთავარ-ღიაკენებმა იციან თავის მოწონება კმევის დროს. ისინი როცა დადიან საკურთხეველში და ტაძარში კმევის დროს, რაც შეიძლება ხმა-მალლა არახუნებენ საცეცხლოურს და არ დასდევენ, რომ ამ დროს კითხულობენ ანუ გალობენ საღმრთო ლოცვებს და საგალობელ მუხლებს, რომელნიც ყურადღებით უნდა მოისმინონ მართლ-მადიდებელმა ქრისტიანებმა. საზოგადოდ ბევრმა ღიაკენებმა არ იციან ხელის ხმარება კმევის დროს, ან ძლიერ მალლა იქნევენ საცეცხლოურს და ამ დროს თავს არ იხრიან ხატების და ხალხის წინ, ანუ ძლიერ დაბლა აქნევენ საცეცხლოურს, ანუ ხელს ძლიერ შორს იჭერენ ტანიდან.

9. ამასთან კმევის დროს ჩქარობენ. ხატების და ხალხის წინაშე კმევის დროს ყოველ კუთხეში წესია სამჯერ უკმეონ მლოცველ ხალხს.

10. მთავარ-ღიაკენებს არ შეჰფერის ხმა-მალლა ხველება, როცა მღვდელი სახარებას ჰკითხულობს; ეს კიდევ მისატყვებელია გალობის დროს და არა კითხვის დროს და ისიც არა ყველას გასაგონად, არამედ გვერდზე მოშორებით და რაც შეიძლება ხმა-დაბლა.

11. არის კიდევ, უმთავრესად, ერთი ნაკლი, რომელიც ხშირად ინიშნება მთავარ-ღიაკენებში—სახელდობ, თავის ბოხი ხმით ამპარტანობა. სასურველია, რომ სახარებას და სამოციქულოს კითხულობდნენ და კვერქსებსაც წარმოსთქვამდნენ ხოლმე გა-

საგებად, კრძალვით და არა ყვირილით. სასიამოვნო მოსასმენელი არ არის, როცა დიაკვნები და მკითხველები, რომელნიც მედიდურობენ თავისი ბოხი ხმით, სრულიად უსაჭიროდ, პატარა ეკლესიებში, ხანდისხან საღმრთო წერალის და მაცხოვრის სიტყვების წარმოთქმის დროს ისე აუწევენ ხმას, რომ ამას ვერ უძლებს ვერც მათი ხმა, ვერც გული და ამავე დროს ყოველივე ეს შეურაცხებს ეკლესიურ კეთილ-წესიერებას, სმენას და გრძნობას ტაძარში მდგომთა. მშვიდი და არა მევირალის ხმით კითხვას და გალობას ურჩევდა მკითხველებს და მგალობლებს ტერტულიანი, (2 საუკუნეში) წმ. კიპრიანე (3 საუკუნეში) წმ. ზლოტოუსტი (4 საუკუნეში) და წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტსკი. დროა ეს შეიგნონ ჩვენმა მთავარ-დიაკვნებმა და მკითხველებმა. დიახ, მთავარ-დიაკვნები ამ შემთხვევაში ცდილობენ დააკმაყოფილონ ესლანდელი გემო მართლ-მადიდებელთა, რომელნიც ხანდისხან თუ დაიარებიან ზოგიერთ ეკლესიაში, ისიც იმიტომ, რომ მოისმინონ ყვირილი მთავარ-დიაკვნებისა სახარების წაკითხვის გათავების ბოლოს, ხოლო სახარების წაკითხვის შემდეგ ყვირილის მოყვარულნი მიდიან ტაძრიდან, თითქო ტაძარში საჭირო აღარ იყოს ამის შემდეგ დგომა; შემდეგ სულ იმაზე ბაასობენ, თუ ამა და ამ მთავარ-დიაკონმა როგორ შემოსახა სახარების კითხვის გათავების დაბოლოს, ანუ მრავალქამიერი ჰოი, მთავარ-დიაკნებო, ნუ ცდილობთ დააკმაყოფილოთ ასეთი მოთხოვნილება. სასულიერო წოდებამ უნდა გააღვიძოს სამრევლოს გულში კეთილი გემოვნება თავისი კეთილ-კრძალულებით და გასაგები ხმით ლოცვების წაკითხვით, კვერქსების წარმოთქმით და საგალობელთა მუხლებით, და არ უნდა შეარყიონ მლოცველთა სმენა თავისი ბოხის ხმით.

(შემდეგი იქნება).

დარიგება სოლმრომის დროს.

I.

საჭირო ღონისძიების მიღება წინდაწინვე, სანამ ხოლოერა გაჩნდებოდეს.

1. ქალაქის უოკელმა მცხოვრებელმა საკუთარას სარგებლობის გულისთვის ხელი უნდა წარუმატოვოს ქალაქის სიმთელის საქმეს, უნდა იქონიას სუფთად სასლი, ეზო, გომი, ბოსკლი და გაკეპო.

2. ნაკავი და უოკელგარი უწმინდურობა უნდა მოაგროვონ, ხაჭუარონ უუთებში და გაიტანონ ქალაქგარეთ; კიდევ უმჯობესი იქნება სიმთელასთვის და უოკლად უშიშარი, თუ რომ ამ ნაკავს და უწმინდურობას ჯერ წუაღდაუსხმელს კიწს დაუკაან სქლად და შემდეგ გაიტანენ.

3. ფეხის ალაგები უნდა ქქანდეთ სუფთად და უოკელ დღე უნდა მოასხან ხალქე უკნებელ-მუოფელი წამალი.

4. სარეცხი, სანესკე და სანაკვე თხრლეება, რომ გარც თვით ფეხის ალაგის რმეებიცა უნდა ქქანდეთ სუფთად. იმათ ჯერ უნდა მოასხან უკნებელ-მუოფელი წამალი და შემდეგ უნდა ამოწმინდონ და უოკელგარი უწმინდურობა გაზიდონ ქალაქ გარედ.

5. ქალაქს ქვემოთ ალაგებში, ან წყლის შირთ რაც ჭებია, ხუფ უკლას უნდა დაიხუროს. უოკელ შემთხვევაში ამ ჭებიდან წული აღარ იხმარება ანც სარეცხათ და აღარც საწწყავათ; სასმელათ ხომ სულ აღარ ევარგება. აგრეთვე უნდა დაქსურონ ის ჭები, რომელნიც ფეხის ადგილებისა და სარეცხი რმეების მსლახბლათ არიან ამოთხრლენი.

6. საცა წუაროს წული არ არის, იქ ჭას წული, ან მდინარის წული მოუდუღებლად არ უნდა იხმარონ.

შენიშვნა: ყოველთვის უნდა ერიდოთ მდინარიდან წყლის ამოღებას ქუჩის თხრლებისა და უწმინდური წყლის სადენი მილების ჩასართავთან.

7. კინც ხოლეკიან ადვილებიდგან მოსულა, ოთხი, ხუთი დღე უნდა გაუფრთხილდენ, და ერიდონ მათთან ერთად უოფნას.

II.

საჭირო ღონისძიების მიღება ხოლეგობის დროს.

როგორც კი განდება ქალაქში ხოლეგა, შიკველ-შემთხვევისათანავე ზემოხსენებულნი დაკვიებანი კიდევ უფრო მტკიცედ და ერთგულად უნდა ადრწულებს ხოლმე.

უოკელი კაცი უნდა ცდილობდეს ხოლეგა თავიდან აიცილას; ამის გულისთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ:

- ა. სადგომს.
- ბ. სამხარეულოს, სუფრისა და ჩაის იარაღს.
- გ. სასმელ-საჭმელს.
- დ. ცხოვრების რიგსა.

ა. სადგომი.

8. კარები და ფანჯრები ძალ-ძალ უნდა დააღონ, რომ სადგომის ქვემოთ გაიწმინდონ, თუნდ რომ სადგომი დიდ ოთახებანიც იყოს და განიკრფან ფანჯრებისანიც.

9. რადგან სამშალე ხოლეგას ქსობას, ამისთვის უნდა ერიდონ ეზოს მიწწყვას, ატაკის (პოლის) რტხას, და სველი საკრცხი ოთახში არ უნდა შეიტანონ, კარგად უნდა გააშრონ და ატაკი მშალის ტილოთი უნდა სწმინდონ.

ბ. სამხარეულო, სუფრის და ჩაის ჭურჭელ-იარაღი.

10. სამხარეულოს სისუფთავეს და სიწმინდეს უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება. ქვაბები ხმალების უმაღ შიგნით და გარეთაც მდუღროთ უნდა გარეცხონ და დაწმინდონ, აკრეთვე საინება, ჭიქები, დანა-ჩანგალი და კოვზებიცა. ვისაც კი აქვს სატხობი ფენი (ჭურჭა), იმაში რომ შეაწყოდენ ამ დაკრცხილს ჭურჭელ-იარაღს და იქ გააშრობდენ, ეს კიდევ უფრო კარგი იქნება.

11. ხელსახოტები, სუფრის საფარი, ჩაის იარაღის

საწმენდი ტილოები, უნდა ჭქონდეთ შენახული მშალად განჯიებში; როცა დაჭსკინდებათ, მაშინ უნდა გამოიღონ, ქიდან და იხმარონ.

12. სუფრისა და ჩაის იარაღის საწმენდი ტილოები იმისთანა მკრცხელს უნდა მისცეთ გასარცხად, რომელიც ჭურჭელსა და ხოლეგანს საკრცხში არ გაუკრეს. უკვლას ის ემჯობინება, რომ უოკელი მეოჯახე თავის საკრცხს შინ გასარცხინებდეს ხოლმე.

ბ. სასმელ-საჭმელი.

13. ხოლეგობის დროს წყალი და რძე მხოლოდ მოდუღებული უნდა სვან. მდნეულს წყლებს არა უშავს რა, მოუდუღებელიც რომ სვან. ჩაიცა შეეხება ქარხნებში დამზადებულს სასმელებს, ისინი უნდა იყიდონ მხოლოდ საუკეთესო ქარხნებისა; ამ სასმელებში ზელტაკის წყალს არა უშავს რა, უნდა ერიდონ სოდას წყლის სმას; ლიმონადის სმა სასარგებლოც არის.

14. ღვინო უნდა სვან წითელი, ბოთლებში ჩასხმული ადრევე, სანამ ხოლეგა განდებოდა. კინც მიხვეულია ლუდს (შიესს), დალიოს, მხოლოდ ცოტა და კარგად გადადუღებული. კვასა სჯობია, რომ სულ არ დალიონ, ნურც «მარაყენს» მიიწმინდონ.

15. უჩხევენ სვან ჩაი, ყავა კონიაგითა, ანუითა და თუნდ უმათათც. ცოტადენი რომი და შიმშანური რომ სვან, ისიც სასარგებლოა; კარგია გრეგიც, ანუ გლინტკინი.

16. საზრდო უნდა იყოს ადვილი მოსახლეობელი, რომ სტომიქი არ გააფუჭოს. უნდა სჭამონ ცოტ-ცოტა და ხშირად. საზრდო და სანოვავე კარგი მოსახლეობელი, ან კარგი შემწარი უნდა იყოს. უნდა ერიდონ უოკელგარ მწვანის, ბოსტნეულობას და კიტრის სალათს, ან ძმამი დაჭრადს ვიტრსა.

17. ხელი უნდა გარეცხონ მოდუღებულს წყალში და მხოლოდ ისე მიიწმინდონ; კიდევ უკეთესია იქნება სალიდილის, ლიმონის ან ღვინის ძმადის ძმამი თუ გარეცხენ. (ეს მასალა თითო ჩაის კოვზი უნდა ჩაჭყარონ ერთ ბოთლს წყალში).

უ ე ნ ი შ ვ ნ ა: საცა შეუძლებელია ამ დარიგებისამებრ მოიქცეს კაცი, იქ სჯობია სულ არ სჭამონ ზემოხსენებული ხილი და ბოსტნეულობა; განსაკუთრებით უნდა ერიდონ თუთისა, ნესვისა, ჭერამისა და სხვა ამგვარების ჭამას.

18. უნდა ერიდონ მსუქანს საჭმელებს (მსუქანს ხორცს და ქონს), აკრეთვე ცხილს საჭმელებს (ბოთვი-

ნას, აგრეთვე და ვინიგეტუს), უნდა ერიდონ მღაშე საჭმელებს, რომელნიც წყურვილს იწვევენ (ბესვისა, ღორის ხორცს, მარლიანის თევზს და მარლიანს ეველს). ზუიკი უნდა იყოს კარგი გამომცხვარი.

19—20. საუზმედ საჭმელი, როგორც მაგალითად: ყველი, კარაქი, ღორი ანუ ვინისა და სხვა ისეთს ადგილს უნდა აიყოს შენახული და ზედ გადაფარული, ან გამახვეული ისე, რომ ვერ მიეკაროს ზუიკი, რომელსაც, შეიძლება სენი მოეხვევს. უჩნვევან ატრეთვე ზუიკი შედგან განუტეხულ ფეხში სანამდის საჭმელად მოიტანდენ, ან გაატარონ ცეცხლის ალზე, ან სპირტის ღებობის ალზე, ან კიდევ ყველას კმჯობინება, ზუიკს შემართალნი ქეჩვი და ისე მიიჩთვან.

დ. ცხოვრების რიგი და წესი.

21. საზოგადო წესი ესეა, რომ ვისაც კი ზომიერად უცხოვრია, იმან იმგვართვე უნდა განაგრძოს თავის ცხოვრება ხალკობის დროსაც, ანაფერც ცვლილება ან უნდა მასტყს თავის ცხოვრებას. მაგრამ მაინც საჭიროა გაუფრთხილდენ გაცუებას, ერიდონ სინატივს, ატრეთვე უჩველსავე, რასაც შეუძლიან კაცი მოღალას ან დაჰაზუნოს, მაგალითად: ღაშე ან უნდა ტყხოს, ანც ძალზე მეტი მუშაობა და გონებითი ჯაფა ატყბოს, საზოგადოდ გადაძეტიებული არა ვარტა რა.

22. განსაგუთრებით უნდა ერიდონ სიმთვრალეს, რადგან შენიშნულია, რომ მოძეტიებული ღვინისა და მაგარი სასმელების მიყვარულთ უფრო ეჩნის ხალკობა. მოხუცებულებს და მსტოვანებს კიდევ უფრო სიფრთხილე მართებთ.

23. უნდა ეცადონ ტანის სისუფთავეს. კვიარაში რჩვევრ, ან სამჯერ უნდა იბანონ თბილი წყლით. მდინაქში ტანის ბანას უნდა ერიდონ. ზაფხულში სუბუქათ უნდა ეცვათ. საღამოობით უფრო თბილად ჩაიცვან. უჩნვევენ მუცელი თბილად შეისვიან.

24. ძმეცხელმა ან უნდა მიიღოს საწყისი ავადმყოფობისა, თუ უჩნებელ მყოფელს წამალში ან არის გატარებული. ისეთი საწყისი უნდა აიღოს, რომელიც ხუთ პრეტენტიან კარბოლიან წყალში ყოფილად რამდენსავე საათს დაღობილი. ან უნდა დაივიწყონ იმით, რომ ხალკობის სველი საწყისი საშინელი მომთენია ხალკობისა, ამიტომაც ძმეცხელები უფრო ბუიკი კვდებიან ხალკობითა.

25. როცა მზანეულები შეუდგებიან საჭმელის კეთებას, ან მოსამსახურენი საჭმელის მიტანას სუფრასზე,

ჯერ უნდა საზონით და ჩათქით დაიბანონ ხელები, ან დაიბანონ ქვემოდ მოხსენებულის რომლიაშე წამლის წვითა. ყველას სჯობია, რომ სამ პრეტენტიან კარბოლის წყლით დაიბანდენ ხელებს, ან ერთ მესთედ პრეტენტიან სულების წყლითა (1: 1000).

26. საცა ბუიკი გრკობას ხალხისა, იქ ყოფნას უნდა ერიდონ, ანამუკებს, დღეობებს და სხვა.

27. თუ სახლში ხალკობისი ავადმყოფია, იმას უნდა უვლიდეს ერთი ვინმე, სხვებსაც შეუძლიათ ნახონ ავადმყოფია, მაგრამ დიდხანს ან უნდა დარჩენ მასთან, თუმა ხშირად ნახვასაც ავადმყოფისას ან უშავს რა. ხალკობისის მნახველმა შემდეგ უნდა დაიბანოს ხელ-პირი და გაიწინდოს სამ პრეტენტიან კარბოლის წყლის გადაყვებითა; ატრეთვე პირი უნდა გამოიკრტოს მარლის სიმყავიან წყლით (ათი, ან 16 წვეთი მარლის სიმყავე ჩაასხას ერთ სტაქან წყალში).

28. შინ უნდა ჰქონდესთ ყოველთვის შემდეგი წამლები: ბოტიანისა და ინოზუტევის კაშლები, ეთერი, ნიშადუკის სპირტი, ვალკობისასა და გოფმანის კაშლები; მაგრამ უნდა ჰქონთონ ექიმს, ან აფთაქშია, რა დროს და როგორ უნდა იხმარონ ეს წამლები; მაგრამ მაინცა და მაინც ამ წამლების იმედით ან უნდა დადგენ. ისინი უნდა იხმარონ ავადმყოფია, სანამ ექიმი მიეშეკლებოდეს, სხვა წამლების ხმარებას, ამით გარდა, უნდა ერიდონ.

29. ხალკობისის განავალი და პირადან ნასაქმი გულ-და-გულ უნდა იქმნან უჩნებელნი წამლების გადასნით და შემდეგ კი უნდა გადაღვარონ ფეხის ადგილებში, და ანამც და ანამც სხვაგან, ან ქუჩასზე, ან ეზოში ან გადაღვარონ.

30. ხალკობით მიცვალებული უნდა შეასვიონ ზეწამში დასველებულს ხუთ პრეტენტიან კარბოლის წყლითა (5:100), ან მესთედ პრეტენტიან სულების წყლითა (2:1000) და საჩქაროდ უნდა დაასაფლავონ თავ-დასურული გუბითი.

31. სადგომი, სახლის ავეჯა და სადგომის მორთულება, ყოველივე, რაც შეიზონთ არის, უჩნებელ უნდა იქმნან წამლით, როგორც ექიმი უჩნვევს. რაიცა შეეხება ტანისამოსს, საცვალს და ქვეშისაებს, სჯობია, რომ დასწვან; თუ რამე მიზეზათ ეს ან მოხერხდა, მაშინ ეს ნივთები სულ ერთიანად მაკარს კარბოლის წყალში (5: 100) უნდა ჩააღობონ და დასტოვონ ასე ერთი დღე.

ე. სადგინო ფეკცია საშუალებანი და მათი ხმარება.

ა. სულემა უნდა აიღონ ერთი ნაწილი ათასს ნაწილ წყალზე (დასლ... ებით 16 გრანი სულემა 1 ბოთლ წყალზე) და ამას უნდა მიუმატონ 40 ნაწილი მარცხის სიმეცე.

უენი უენა სრულეობით უმეცარს კაცს არ მიეცემა ხელში ეს წაშალი (სულემა), რადგან ის საშიში საწამლაგია.

ბ. კარბოლის სიმეცე (ორიდან ხუთ ნაწილამდის ას ნაწილ წყალში).

გ. შაბიამანის (ერთიდან სამ ნაწილამდის ას ნაწილ წყალში) და აჩჯასში ათი ნაწილი ას ნაწილ წყალში.

დ. წყალდაუსხმელი კირი.

ე. ქლორის კირი

ვ. კირი, წყალში გახსნილი (ორი ნაწილი კირი უნდა შეურათ ას ნაწილ წყალს). უოკელთეის ახალ-ახალი უნდა შემზადდეს.

ზ. ფეხის ალაგის უენებელ საშუაფელათ უოკელ დღე უნდა ჩასხან შიგ შაბიამანი (2:100) და აჩჯასში (1:8) მაგარი კარბოლის წყლით (5:100), ან სულემის წყლით (1:1000) და 40 ნაწილი მარცხის სიმეცე. თუ ფეხის ალაგის ორმეობი გაეცეხებოდა, უნდა სქლად დაა-ფარონ ზედ კირი წყალდაუსხმელი მას შემდეგ, რაც შიგ ორმეობი საკმაოდ ჩაუსხამთ ერთი ზემოხსენებულ წამალთაგანი.

წ. ახალს განაკლს, ან შაბიდან ნასაქმს უნდა გადასხან ზედ ერთი იმდენი წამალი, რამდენიც აჩის თვით შირიდან ნასაქმი, ან განაკალი.

თ. იატაკზე (პოლზე) ან ლოჯინზე აკადმეოფის განაკლისა და ნასაქმის გასაწმენდათ ხმარობენ სულემის წყალს (2:1000), ანუ კარბოლის სიმეცეს (5:1000).

ი. აკადმეოფის, ან მიცკალბულის ლოჯინის საც-კალი და ტანისამოსი უნდა ჩააღებონ მთელის დღის განმავლობაში კარბოლიან წებში (5:100), ან სულემის (2:1000) წყალში.

კ. სადგომის ან სახლის უენებელ-საშუაფელად უნდა მოიწვიონ თვით ძეგურნალი, ანუ ექიმე. *)

საეჭვო კითხვების განმარტება.

მამო რედაქტორი!

უმორჩილესად გთხოვთ განვეიმარტოთ და აგვისნათ თქვენის პატრეცემულის გაზეთის საშუა-ლებით შემდეგი კითხვები:

შტატის და ზედ მიწერილის ეკლესიების შემოსა-ლიდგან: (მხარი და ტყავი ცხვრისა, მამალი, სეპისკვრად მო-ტანილი პური, ზედაზე, საწირავი, საპარიკლისო და სამწუა-ლობლო ფული) რა არის ეკლესიის კუთვნილება, რომ შტატის ეკლესიის მნათმ და დანიშნულმა ეკლესიის ზედამხედველმა ჩასწეროს შტატის ეკლესიის შესავალ-გასავლის წიგნი მღვდლის თანხმობით და ან ზემოხსენებულის შემოსავლიდგან რა ეკუთვნის კრებულს?

ეკლესიას ეკუთვნის ისა, რაც მის სახელზედ არის შეწირული და კრებულს ეკუთვნის ის, რაც მის სახელზედ არის შეტანილი.

ენების კვირაში, დიდს პარასკევს, შეიძლება მიცვა-ლებულის დასაფლავება, თუ არა?

ყველა გარდაცვალებული ტიბოკონისამებრ მიწას უნდა მიბარდეს მესამე დღეზედ და რა დააბრკოლებს დამარხვას, თუ ეს ხსენებული პარასკევი მესამე დღეა?

ესთქვათ, ერთს სოფელში ორშტატიანი ეკლესიაა; ორივეს თავთავიანთი ზედმიწერილი ეკლესიებიცა აქვთ. ერთს ზედ-მიწერილს ეკლესიას მეტი შემოსავალი აქვს, მეორეს მცირე. შეუძლიან ამ მცირე შემოსავლიანის ზედ-მიწერილის ეკლესიის მღვდელმა წილი დაიდოს, თუ მეტ შემოსავლიანის ზედ-მიწერილის ეკლესიის მღვდელი არ ისურვებს?

ყველა შემოსავალი თანაბრათ უნდა გაინაწი-ლონ ორშტატიანის ეკლესიის კრებულის წევრთა, თუ მრევლი გაყოფილი არა ჰყავს. თუ გაყოფილია, მაშინ ყველა თავის წილს უნდა დასჯერდეს.

*) ეს დარიგება გამოცემულია ქუთაისის ქალაქის მოუ-რავის განკარგულებით.



მიიღება ხელის-მოწერა 1892 წლისათვის ორ
კვირულ გამოცემათა ძარბულს
„მ წ ყ ე მ ს ზ ე ლ“

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელს და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმალღესთა სასულიერო და საზოგადოებრივ მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლად და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელს და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელს და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა არის— 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემსი»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) ვაცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებულ კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით ვაცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა:

12 თვით «მ წ ყ ე მ ს ი» 5 მ. 6 თვით «მ წ ყ ე მ ს ი» 3 მ.
— ,, ორივე გამოცემა 8 — ,, ორივე გამოცემა 4 მ.
— ,, რუსული ,, 3 მ. — ,, რუსული ,, 2 მ.
სოფლის მასწავლებელთ «მ წ ყ ე მ ს ი» დაეთმობათ მთელის წლით სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვარაღაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვარაღაში, აგრეთვე ქუთაისშიც.

ზარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: ВЪ КВИРЫ, ВЪ РЕДАКЦИЮ ГАЗЕТЬ „МЦЕМСИ“ И «ПАСТЫРЬ».

მაიღება ხელის-მოწერა 1892 წლისათვის ორ თვიურ
საემწელო სურათებთან ჟურნალ
„ჯეჯილში“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხი-ხუთამდე ნაბეჭდი თაბანი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კატეხიზოგრაფების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, სააღმოსავლეთო სათამაშოები და საფარჯიშოები, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები-ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვს ყველა ჩვენსა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ელირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) თბილისში — «წერა-კითხვის საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 125) და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში Красногорская ул. д. Назарова № 7).
- 2) ქუთაისში—მკ. ნიკოლაძისას.
- 3) გ ო რ შ ი —მკ. შურცელაძისას.
- 4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.
- 5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

შოსტის აღრესი: ВЪ ТИФЛИСЪ, ВЪ РЕДАКЦИЮ ГРУЗИНСКАГО ДИПТСКАГО ЖУРНАЛА «ДЖЕ ДЖИЛИ» რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილი—წაქეთისა.

შ ი ნ ა ო რ ს ი. ოფიციალური განყოფილება: უმაღლესი ბრძანება.—უწმინდესი სინოდის განკარგულება.—უწმ. სინოდთან დაარსებულ სამოსწავლო საბჭოსაგან.—მთავრობის კანონდებულებანი და განკარგულებანი.

საღატკანატურო განყოფილება: სასულიერო სასწავლებლის სამმართველოების საყურადღებოდ.—ამოსკომენსკი და მისი პედაგოგიური მოღვაწეობა —წერილი რედაქციისადმი.—წერილი კევიდგან.—სამეურნეო სკოლის შენობის საფუძვლის კურონება ქუთაისში.—უბიწოება ცოლ-ქმრობაში.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სახელმძღვანელო და საყურადღებო ცნობათა განყოფილება: კეთილ-წესიერება ტაძარში.—დარიგება სოფლის დროს.—საეჭვო კითხვების განმარტება.—განცხადება.